საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 აპრილი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი ბოლო გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადებას ჩვეულებრივად ზომისას 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: გრიბოედოვის ქ. 5, [illegible] ტელეფონი 16—92

№ 82

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 82

დედა ლიუდი, დაი ლეონიძე, ძმა მიხაკო, ბიძაშვილები: მიკო, ანეტა, ვასო და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს (ძვ. სტ. 1 აპრილს) 14 აპრილს სოფ. წითელ მთის (გურიაში) ეკლესიაზე და ქ. თფილისში ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ბათუმში ნარიონ ფორტზე, ოსმალებთან ბრძოლაში დაღუპულ აფიც.

**დავით ალექსანდრეს ძე ჟანიძის**

ორი წლის ხსოვნის აღსანიშნავად. (1256 1—1)

იდიტორ მეთაურეს ასული ლიდიასი, შვილი: შენგირი, ქალიშვილები: ფუცია და გოგოლია, სიძე ილუში და შვილიშვილი აჩიკო მიქაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასის პირველი დისწულისა და დანარჩენი შვილიშვილის

**ალექსანდრე (ალიოშა) იაკინთეს ძე ცქიტიშვილის**

სტუდენტ მე 4 კურსისას, ნოვოჩერკასკის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის, უდროოდ გარდაცვალებას, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება ოლღის შესახვევიდან სახლი № 3, 14 აპრილს 4 საათზე და დაკრძალვა სოფ. შრომაში 17 აპრილს. (1260 1—1)

ბულ დათუაშვილი ბიძიები: ალექსანდრე და ბესარიონ სიმონის ძე საყვარელიძენი და ბიცოლა მარგალიტა საყვარელიძისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მათი ძვირფასი

**ალექსანდრე (ალიოშა) ცქიტიშვილი**

სტუდენტ მე 4 კლ. ნოვოჩერკასკის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისა, უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ოლღის შესახვევიდან სახ. № 3 ოთხშაბათს 14 აპრილს 4 საა. ს. დაკრძალვა სოფ. შრომაში (შორაპნის მაზრა) შაბათს 17 აპრილს 1260 1—1)

**სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი**

სთხოვს ყველა იმათ, ვინც **ძმათა სასაფლაოზე** ბრძოლაში დახოცილ გვარდიელებს დაადგა რაგვი (აგრადები),

რომ ამა თვის ოცამდის აიღონ, რადგან მთავარ შტაბს არავისთვის ნებართვა არ მიუცია „აგრადების" დადგმის და ამ ჟამად მთავარი შტაბის მიერ დაწყებულ მუშაობას ხეივანის გასაშენებლად, სასაფლაოების გეგმაზე დაყოფას, საერთო ძეგლის დასადგმელად, რომლის დადგმაც მთავარ შტაბს აქვს განზრახული—ძალზე ხელს უშლის. (1264 2—1)

მთავრობის საქმეთა მმართველობა ამით საჩქაროდ იწვევს

**მანქანაზე გადამწერ**

გამოცდილ პირს. მთხოვნელი მიიღება კონკურსით. თხოვნის შეტანა შეიძლება მთავრობის საქმეთა მმართველობაში (რუსთაველის პრ. მთავრობის სახლი) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (1263 3—1)

მოგვითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

**აბრეშუმის ჭიის თესლი**

შემოწმებული თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.
(ყვითელი, ფრანგული ჯიშის)
„დ. დ. დეკანოზიშვილის" ფირმისა.
დუშეთის ქუჩა, № 22, ბინა მექანიკიშვილისა. (1188 6—6)

**ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო**

სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის თემების გამგეობებს, თემებისა და რკინისგზის ადმინისტრაციას თვალყური ადევნონ იმ პირთ, ვისაც ეროვნული საბჭოს მოწმობებით თემიდან გამოაქვთ სანოვაგე ბათომში შესატანათ. და აცნობონ საბჭოს ვინაობა იმათი, რომლებიც თემებისა და ადმინისტრაციის აზრით ბოროტად სარგებლობენ ხსენებული მოწმობებით. საბჭოს მისამართი ქალ. ბათომი მარინეს ქუჩა № 48. (1160—16—5)

18 აპრილს, დილის 10 ს., ქ. გორში, სამაზრო ერობის სახელდახელოდ აგებულ ბარაკ-ბინაზე, მოწვეულია

**გორის მაზრის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენცია.**

განსახილველი საკითხები: მოხსენებანი: 1) თანამედროვე მომენტზე, 2) ცენტრალური კომიტეტისა, 3) დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციისა, 4) გორის სამაზრო ერობის ს. დ. ფრაქციისა, 5) სახ. გვარდიის საოლქო შტაბისა, 6) გასული წლის პარტიული მუშაობის ანგარიში მაზრაში, 7) მაზრაში პარტიული მუშაობა მომავალში, 8) ს. ს. დ. მ. პ. მომავალ პარტიულ ყრილობაზე დასმული საკითხების წინასწარი განხილვა, 9) სამაზრო კომიტეტის არჩევნები. საჭიროა წარმომადგენლები თავის დროზე გამოცხადდენ.

გორის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი. (უფ.—3—1)

**გორის სამაზრო ერობის გამგეობა**

იწვევს სამსახურში აგრონომებს, მებაღეობის და მერძეობის ინსტრუქტორებს. თხოვნები მიიღება შემდეგი მისამართით: ქ. გორი, სამაზრო ერობის გამგეობა. (1258—6—1)

**წაღვერი**

**პანსიონი**

**ელისაბედ მღებრიშვილისა**

ორი წლის დასვენების შემდეგ ისევ ვიწყებ პანსიონის წარმოებას წაღვერში ჩემის ხელმძღვანელობით და გამგებლობით. დაწვრილებითი ცნობებისათვის შემდეგი მისამართით: წაღვერი, ე. მღებრიშვილისას. (1261—1—1)

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს!

ამხანაგებო! პარტიული წესდების 10 §-ის თანახმად ჩვენ ვიწვევთ მაისში პარტიის ყრილობას. დღე ცალკე გამოცხადდება.

პარტიული თათბირის დადგენილებით, რომელიც მოხდა 25—26 მარტს და დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობისთვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

მოხსენებანი:

1. ცენტრალური კომიტეტისა.
2. საკანტროლო კომისიისა.
3. მთავრობის წევრებისა
4. ფრაქციის.
5. მიმდინარე მომენტი.
6. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
7. ფინან.-ეკონომიური პოლიტიკა.
8. პროფესიონალური მოძრაობა.
9. კოოპერატიული პოლიტიკა.
10. მუნიციპალური პოლიტიკა.
11. აგრარიული პოლიტიკა.
12. ჯარი და სახალხო გვარდია.
13. პარტიული მუშაობა.
14. პარტიული გამომცემლობა.
15. დამოკიდებულება სხვა და სხვა პარტიებთან.
16. ინტერნაციონალი.
17. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

პარტიული წესდების 11 §-ის თანახმად ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითო ყოველ 400 წევრზე. იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მაზრას და დიდ ქალაქებს ხელმძღვანელობენ და რომელთაც სათავეში კომიტეტი უდგია, უფლება ეძლევა ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნის იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლები ითვლება.

დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს

იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც გასული წლის მოქმედების ანგარიში არ წარმოადგინეს, უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 აპრილისა.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიისა.

## რაშია ხსნა?

ნახიჩევანის რაიონის მცხოვრები მუსულმანები სომხეთის ჯარების შიშის გამო ადგილიდან აყრილან და საქართველოს საზღვრებში შემოხიზნულან ზოგიერთი სოფლები, რომლებიც ოსმალეთის საზღვრებთან უფრო ახლო მდებარეობენ, ოსმალეთში გადასახლებულან. მეორეს მხრით, შემახის, ნუხის და აზერბეიჯანის სხვა რაიონებში მობინადრე სომხებიც გამოექცევიან დარბევას და გადასახლებულან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში. ჯერჯერობით ძნელია იმის გამორკვევა, თუ რამდენათ შეიცვალა ამ ორი წლის განმავლობაში ამიერ კავკასიის ეთნოგრაფიული ქარტა. ეს მით უფრო ძნელია, რომ „ერთი დიდი გადასახლების" პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. იგი ნელდება, როდესაც სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის ცოტაოდენათ მაინც მყარდება მშვიდობიანობა, და ძლიერ ზომებს ღებულობს, როგორც კი ამ ორ მეზობელ ერსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა მწვავდება.

ეს „ერთი დიდი გადასახლება" იმით არის მოუმზადებელი და [illegible], იმით არის ყოველ საშინელების წყარო, რომ იგი ხდება სრულიად უსისტემოდ, ძალდატანების, ხოცვა-ჟლეტის, დარბევის ფორმით. ხალხი გამორბის მხოლოდ ცხოველურ შიშის გავლენით, გამორბის საითაც მოხვდება, საითაც კი შეუძლიან გამოქცევა, გამორბის მხოლოდ ერთის მიზნით,—რომ თავისი თავი და თავის ცოლშვილი გადაარჩინოს სიკვდილს. ამ უთავბოლო ლტოლვაში იღუპება აურაცხელი სიცოცხლე, ნადგურდება აურიცხელი ქონება, საუკუნოებით ნაშენები სახლ-კარი და დაგროვილი ავლადიდება.

ეს გადასახლება ისე სტიქიონურია და ისე გარდუვალია, რომ მისი შეჩერება შეუძლებელია; თუნდაც ორივე მოჩხუბარი სახელმწიფო შეეცადოს, თუნდაც მათ გულწრფელად მოინდომონ კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოგდება, უსისტემო გადასახლების პროცესი მაინც ვერ შეჩერდება დიდი ხნის განმავლობაში.

ამ გარემოებას უნდა პირდაპირ შევხედოთ თვალებში და მას უნდა ანგარიში გაუწიოთ, როდესაც მუსულმანთა და სომეხთა ურთიერთობის მოგვარებას ჩავუფიქრდებით. რეალური სინამდვილესთან შეგუებული პოლიტიკა იშვიათად კისრულობს სტიქიონის წინააღმდეგ სიარულს. იგი საზოგადოთ სტიქიურ პროცესთან ათანხმებს თავის მოქმედებას. მრავალ წლობის განმავლობაში ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ შეუძლებელია სომეხთა და მუსულმანთა ურთიერთობის მოგვარება იმ ადგილებში, სადაც მათი მოსახლეობა ერთმანეთშია არეული. როდესაც ორი ძმა ერთს სახლში ერთად ვერ თავსდებიან, ერთად-ერთი საშუალება მათი გაყრა. როდესაც ორი ერთად მცხოვრები ერი ერთმანეთს ვერ ურიგდება და როდესაც მათი ურთიერთობა ხოცვა-ჟლეტის და დარბევის სახეს ღებულობს, ყველა ამ უბედურების მოსასპობათ საუკეთესო საშუალება ამ ორი ერის ერთმანეთთან მოშორება, მათი ტერიტორიული გამიჯვნა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ ორგანიზებულად მოწყობილ გადასახლების გზით.

დღეს ეს გადასახლება სულ ერთიანად ხდება, მხოლოდ მას თან სდევს სოფლების აოხრება, სახლების დანგრევა, ქონების განადგურება, აურიცხელი მსხვერპლი, გადასახლებას რომ მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი ორივე მხარის შეთანხმების ნიადაგზე, ყველა ეს უბედურება თავიდან იქნება აცილებული; ეს მოხერხდება რაც შეიძლება ნაკლების ადამიანურის მსხვერპლით, რაც შეიძლება ნაკლებ ქონების განადგურებით: აზერბეიჯანის საზღვრებში მცხოვრებ სომხების სოფლებში გადასახლებული იქნებიან სომხეთში მცხოვრები მუსულმანები და ამ მუსულმანების სოფლებში აზერბეიჯანიდან სომხები გადასახლდებიან. ამას უნდა მიეცეს ქონების—სახლ კარის, მიწა ადგილების, ბაღების—გაცვლა გამოცვლის ხასიათი. მოძრავი ქონება—საქონელი, სახლის მოწყობილობა და სხვა ორივე სახელმწიფოს შეერთებული ზომებით უნდა გადაზიდულ იქნეს ადგილიდან ადგილზე.

ორივე ერი გაწამებულია, მოქანცულია ერთმანეთის ჟლეტით და სწყურიან მშვიდობიანი ცხოვრება. ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების ატმოსფერა მოწამლულია მის მცხოვრებთა ამ სტიქიური გადასვლა გადმოსვლით. ხალხის ინტერესები, ჩვენი რესპუბლიკების სარგებლობა,—ყველა ეს ერთხმად გვიკარნახებს, რომ უნდა გამოვნახოთ რაიმე ძლიერი საშუალება, რომ ერთბაშად ბოლო მოეღოს ჩვენი უბედურების მთავარ წყაროს. საუკეთესო საშუალებათ მიგვაჩნია მოჩხუბარ ერების მშვიდობიანი გაყრა.

## დამფუძნებელი კრება

8 აპრილი. საღამოს საგანგებო სხდომა.

თავმჯდომარეობს ამ. ლომთათიძე.

### ყარაბახის გარშემო.

### აკაკი ჩხენკელის სიტყვა.

მოქალაქენო! ჩვენ დღეს მოვისმინეთ ფრიად საყურადღებო მომართვა აზერბეიჯანის პარლამენტისა. ის მიმართული იყო როგორც მსოფლიო დემოკრატიის, ისე ამიერ-კავკასიის დემოკრატიის და მათ პარლამენტებისადმი. ჩვენ მადლობელი უნდა ვიყვეთ აზერბეიჯანის პარლამენტისა, რომ მან საშუალება მოგვცა ჩვენი აზრის გამოთქმისა იმ საყურადღებო ამბების შესახებ, რომლიც ხდება ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე. ხოლო სანამ შევეხებოდე შინაარსს ამ მომართვისას, თვით ამ ამბების მნიშვნელობას, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საერთაშორისო ფარგლებში, მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა ამ მიმართვის გარეგნულ მნიშვნელობაზე. ჩვენ ამას წინათ ამნაირივე ფორმით მივმართეთ საერთაშორისო დემოკრატიას და მათ პარლამენტებს. მაგრამ ეს ორი მიმართვა (ჩვენი და აზერბეიჯანისა) ერთმანეთს შეედარება. ჩვენი მიმართვა, როგორც იცით, ეხებოდა ბათუმის საკითხს, თუ რა უფლებები აქვს საქართველოს ბათუმზე, ჩვენ იმ მიმართვაში გამოვსთქვამდით ჩვენს გულისწყრომას იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც თუმცა დროებით, მაგრამ მაინც მიღებული იყო ბათუმის შესახებ უმაღლესი საბჭოს მიერ. ეს მიმართვა იყო მოკავშირეთა პარლამენტებისადმი, მაგრამ იქ (მიმართვაში) არ იყო ლაპარაკი ჩვენი მეზობლების შესახებ. აზერბეიჯანის მიმართვაში კი მთავარი დედაზრი არის გადამწყვეტი მეზობელ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ერთი მეზობელი ილაშქრებს მეორე მეზობლის წინააღმდეგ. მიმართვა, როგორც ერთგვარი კულტურული ზომა, მისაღებია, მაგრამ ის სრულებით მიუღებელია მაშინ, როდესაც ეს წარმოადგენს ერთი მეზობლის მეორე მეზობლის წინააღმდეგ საჩივარს, ასე ვსთქვათ აპელიაციას. ასეთი ფორმის და შინაარსის მიმართვა არის მავნე, როგორც ჩვენი მეზობლებისათვის, ისე ჩვენთვისაც. როდესაც ერთი მეზობელი საჩივრით მიმართავს მესამე პირს ჩვენი მეზობლების შესახებ, ეს ნიშნავს ამ საქმეში მე 3-ე პირის ჩარევას, რაც ჩვენთვის მიუღებელია. ეს არის გარეგნული მხარე იმ მიმართვისა, რომელიც ჩვენ აქ ამ ჟამად გვაქვს, ჩვენ ხელთ არა გვაქვს მეორე სახელმწიფოს, სომხეთის მიმართვა, მაგრამ ვიცით, რომ სომხეთის მთავრობამ განსაკუთრებული ნოტით მიმართა მოკავშირეთა სახელმწიფოებს. შეიძლება ითქვას, რომ იმ ნოტაში იგივე აზრები, სიტყვები და ტონი არის გამეორებული, რაც აზერბეიჯანის პარლამენტის მიმართვაშია. ისიც საჩივარია მეზობელ სახელმწიფოზე. სამწუხაროთ, სომხეთი უჩივის აზერბეიჯანს ისე, როგორც ამ მიმართვაში აზერბეიჯანი უჩივის სომხეთს. ჩვენ არა ვართ ამ დავაში მსაჯულნი და არც გვინდა მსაჯულათ ვიყოთ, მაგრამ ეს საკითხი ჩვენ ძალიან გვაინტერესებს. გვაინტერესებს არა თეორეტიულად, არამედ პრაქტიკულად, პოლიტიკურად, რეალურად; ჩვენ ვიცით, რომ ამ ამბების შედეგები ჩვენთვისაც ძლიერ მავნე იქნება, თუ ის (ამბები) ასე გაგრძელდა—მე არ მინდა სომხეთის და აზერბეიჯანის საშინაო საქმეებს შევეხო, ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ რამდენათ ეს საქმეები ჩვენც გვეხება, მინდა შევეხო შინაარსს მიმართვისას. იქ (მიმართვაში) არის ნათქვამი, რომ ის, რაც ხდება ყარაბაღში, არის წინააღმდეგ დემოკრატიზმისა, რევოლიუციის მონაპოვრისა, თავისუფლებისა და სხვა. ერთი სიტყვით, არის ნათქვამი ის, რაც ჩვენ ყოველთვის გვითქვამს, მაგრამ მართლაც ამ აზრისა რომ იყვნენ სომხეთი და აზერბეიჯანი, მაშინ ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა, პირიქით, ჩვენ ამას მაშინ სიხარულით მივეგებებოდით. მაგრამ მე მაქვს გაზეთებიდან ამონაწერი იმისა, თუ რა ითქვა სომხეთის და აზერბეიჯანის პარლამენტში და უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ იქ, პარლამენტებში ითქმული სრულიად არ ეთანხმება იმას, რაც მომართვაშია. აი ის რეზოლიუცია, რომელიც მიიღო აზერბეიჯანის პარლამენტმა ყარაბაღის საქმეების შესახებ. მე წავიკითხავ ამ რეზოლიუციიდან მხოლოდ ერთ ადგილს (ორატორი კითხულობს), მაშასადამე აქ არის ლაპარაკი იმაზე, რომ უნდა იქნეს გაგრძელებული ის, რაც ხდება ე. ი. სისხლის ღვრა და ბრძოლა. აქ არ არის ნახმარი ერთი სიტყვაც, რომ ეს არის მავნებელი რევოლიუციის მონაპოვრებისათვის, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და დემოკრატიზმისათვის. სომხეთის პარლამენტშიც იყო ეს საკითხი და იქ პრემიერს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელსაც თურმე ხშირად მქუხარე ტაშით აწყვეტინებდენ. აი ერთი ფრაზა მისი სიტყვიდან (კითხულობს). მე გადაჭრით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ენა სრულებით არ შეეფერება იმ ენას, რომელიც მოკავშირეთა მიმართ წარგზავნილ ნოტაშია. აქ კი, სომხეთის პრემიერი მინისტრი ამბობს, რომ იარაღით უნდა გადაწყდეს ეს საკითხი. მე არ ვამბობ უფლებაზე—თუ ვის ეკუთვნის ყარაბაღი, ჩვენ ამის მსაჯულნი არა ვართ, მაგრამ, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ საშინაო პოლიტიკა არ ეთანხმება საგარეო პოლიტიკას, როგორც ერთ, ისე მეორე სახელმწიფოში, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ამ სახელმწიფოებში, სამწუხაროდ ყველაფერი რიგზე არ არის. მე ვფიქრობ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ნიშანდობლივი თვისებაა, რომ მას ერთნაირი ენა უნდა ჰქონდეს, როგორც შინ, ისე გარეთ. სწორედ ეს ნიშანდობლივი თვისება დემოკრატიული სახელმწიფოსი აკლიათ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ამას ჩვენ ვებრძოდით რუსეთში, ამას ჩვენ ვებრძვით აქაც.

შემდეგ ორატორი ეხება იმ მეთოდის უგუნურობას და მიუღებლობას, რომელსაც მიმართავენ აზერბეიჯანი და სომხეთი სადავო საკითხების გადასაწყვეტათ და ამბობს: ეს მეთოდი გადმონერგილია ოსმალეთიდან. ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერთი ნაკლებ დამნაშავეა, მეორე—მეტი, ჩვენის აზრით ისინი ორივენი დამნაშავენი არიან იმდენათ, რამდენათ ამ მეთოდს მიმართავენ. ამას ჩვენ დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ მით უმეტეს დღევანდელ რთულ პირობებში: ამიერ-კავკასიას დღეს, როგორც იცით, ორი მხრიდან ემუქრება მტერი—ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. და როდესაც ასეთ დროს მეზობლები სადავო საკითხის გადაჭრას იარაღით ცდილობენ, ეს ყოვლად მიუღებელი და გასაკვირია, ნუ თუ აზერბეიჯანს არა აქვს გათვალისწინებული, რომ მის ზურგს უკან იმპერიალისტური ბოლშევიზმია და მის დაპყრობას ლამობს? ნუ თუ სომხეთს არ უნდა ახსოვდეს, რომ მის უკან იგივე ძალაა, რაც ამ ორი წლის წინეთ განადგურებით ემუქრებოდა ამიერ-კავკასიას? (ოსმალეთი). თუ ჩვენს მეზობლებს ეს არა აქვთ გათვალისწინებული, მაშინ როგორ ფიქრობენ ისინი დამოუკიდებლობის დაცვა?

მე ვფიქრობ, რომ სომხეთს უნდა ახსოვდეს ის კავშირი, რომელიც არსებობს არზრუმსა და მოსკოვს შორის. სომხეთმა უნდა იცოდეს, რომ თუ ამიერ-კავკასიას ის მტრები დაეპატრონენ, მაშინ სომხეთის საკითხს აქ ისე გადაჭრიან, როგორც ახალგაზრდა ოსმალებმა გადაჭრეს სომხეთის საკითხი ოსმალეთში. აზერბეიჯანს უნდა ახსოვდეს, რომ მის წინააღმდეგ მოდის ნაციონალისტური ბოლშევიზმი, რომელმაც ერთი წლის წინეთ მიწასთან გაასწორა ბაქო.

შემდეგ ორატორი ვრცლად ეხება ჩვენს მეთოდს სადავო ტერიტორიალური საკითხების გადაჭრის შესახებ და ამბობს: ჩვენ ვფიქრობთ და ვართ მომხრე ასეთი მეთოდის: ყოველგვარი სადავო საკითხი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის უნდა გადაწყდეს ურთიერთ შეთანხმებით, და როცა ეს შეთანხმება არ ხდება, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს საგანგებო არბიტრაჟით. ეს არის ისეთი ზომა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთ მეგობრულ დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოთა შორის, ეს მეთოდი ჩვენ მიერ იყო ხმარებული 1905 წ. პირველ რევოლიუციის დროს, როცა სომეხ-თათართა ჟლეტა მოხდა. მაშინ ამ საქმეში ჩაერია ჩვენი დემოკრატია და კიდევაც შესძლო ამ ჟლეტის ჩაქრობა. რუსეთის მთავრობამ ვერ შესძლო ამ ჟლეტის შეჩერებაც კი, ჩვენმა დემოკრატიამ ის შესძლო. ეს [illegible] ლი ჩვენი დემოკრატიისა კარგათ [illegible] შეგნებული ჩვენს ხალხს. წარსულ კვირას აქ თფილისში იყო მიტინგები, სადაც სათანადო რეზოლიუციები გამოი-

# დღეს

საფრანგეთის ჯარმა დაიკავა ჰამბურგი. ფრანკფურტში არეულობა საფრანგეთის ჯარმა ჩააქრო. მკვდარია 6 და დაჭრილია 35 გერმანელი.

ინგლისი და ამერიკა არ იზიარებენ საფრანგეთის მიერ გერმანიის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს.

უმაღლესი საბჭო სან-რემოში შეიკრიბება 18 აპრილს.

უმაღლესმა საბჭომ სომხეთის მანდატი ერთა ლიგას შესთავაზა.

მარსელში მეზღვაურთა გაფიცვაა.

ინგლისური ცნობით აღმოსავლეთ ციმბირში სამხედრო მოქმედება დაიწყო რუსებსა და იაპონელებს შორის.

——

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციამ დაადგინა შესწყდეს სომეხ-მუსულმანთა შეტაკებები. კონფერენციამ საგანგებო კომისია აირჩია, რომელიც ადგილობრივათ გაატარებს კონფერენციის დადგენილებებს.

ტანეს ყარაბაღის ამბების შესახებ. ამ რეზოლიუციებში პროლეტარიატი მოითხოვს, რომ დაუყონებლივ შეწყვეტილ იქნას ძმათა შორის სისხლის ღვრა, პროლეტარიატი მიმართავს ჩვენს მთავრობას და სთხოვს ტრადიციულათ ჩაერიოს ამ საქმეში და ყოველი ღონე იღონოს ამ ამბების ლიკვიდაციის მოსახდენათ.

როგორც ხედავთ, მუშათა დემოკრატიამ თვით დააყენა ეს საკითხი და ჩვენი ვალი იყო ეს გამოგვეტანა ამ ტრიბუნიდან.

მე ზემოთ ვსთქვი, რომ საშინაო პოლიტიკა უნდა ეთანხმებოდეს საგარეო პოლიტიკას მეტად. სწორედ ასე იყო ჩვენი პოლიტიკა წარმოებული. თუ როგორი პოლიტიკა იყო აქ, ადგილობრივ ჩვენი მეზობლების მიერ წარმოებული, თქვენ ხშირად უკეთ იცით, ხოლო საზღვარ გარეთ ჩვენი დელეგაცია ყოველ ზომებს ხმარობდა, რომ მოეწყო სოლიდარული გამოსვლები ამიერ კავკასიის რესპუბლიკების დელეგაციებისა და თქვენ დამითანხმებთ, დამფუძნებელი კრების წევრნო, რომ ასეთი სოლიდარული, შეთანხმებული გამოსვლები ყოფილიყო, როგორც შიგნით, ისე გარეთ, მაშინ ჩვენი რესპუბლიკები ცნობილნი იქნებოდნენ არა მარტო ფაქტიურად, არამედ იურიდიულადაც და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა უფრო მტკიცე იქნებოდა, ვინემ დღეს არის. თქვენ იცით, რომ ჩვენი დელეგაცია ცდილობდა ყოველთვის აზერბეიჯანის და სომხეთის დელეგაციასთან ერთად გამოსულიყვნენ, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სომხეთის დელეგაცია ჩვენს დელეგაციასთან გამოსულიყო. არც აზერბეიჯანის დელეგაცია გამოდიოდა ყოველთვის ჩვენს დელეგაციასთან ერთად. თქვენ იცით, რომ ჩვენი დელეგაცია გამოდიოდა ბალტიის მხარის დელეგაციასთან ერთად სხვადასხვა საკითხებში. მაგალითად, როდესაც უმაღლესმა საბჭომ კოლჩაკის მთავრობა იცნო, როგორც რუსეთის მთავრობა, მაშინ საჭირო იყო პროტესტი. ამ პროტესტის გამოცხადებაში მონაწილეობა მიიღო რუსეთისაგან გამოყოფილ ყველა სახელმწიფოების დელეგაციებმა. მათ შორის არ იყო სომხეთის დელეგაცია. როდესაც ჩვენი და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა ცნობილი იქნა და სომხეთი არ იყო ცნობილი, მაშინ ჩვენი წარმომადგენლები წარსდგნენ უმაღლესი საბჭოს წინაშე და განაცხადეს, რომ ჩვენ არ გვიქნეს წარმოდგენილი ჩვენი დამოუკიდებლობა, თუ არ იქნება ცნობილი სომხეთის დამოუკიდებლობაც. ჩვენ ასე გვესმოდა ჩვენი მუშაობა მაშინაც კი, როცა ჩვენთან არ მუშაობდენ, მაშინაც კი გვესმოდა, რომ ყველამდე ვართ დაინტერესებული განმტკიცებულ იქნეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება არა მარტო ჩვენი, არამედ ჩვენი მეზობლებისაც, ვინაიდან ჩვენ მეზობლები ვართ და მეზობლებს შორის უნდა იყოს კარგი განწყობილება. ხოლო ერთი მეორის წინააღმდეგ გალაშქრება, საერთაშორისო ასპარეზზე დიდ ზიანს უზიადებს ამიერ-კავკასიას. ეს მოასწავებს ამიერ კავკასიის ბალკანიზაციას. თუ ამიერ-კავკასია ჩადგება ისეთ პირობებში, როგორშიაც იყო ბალკანეთი, დაიჯერეთ, რომ მაშინ ჩვენი თავისუფლება, დამოუკიდებლობა დიდ ხიფათში ჩავარდება, ჩვენ ამას უნდა ვუფრთხილდეთ, ჩვენ უნდა ვერიდებოდეთ ჩვენს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევას. ამიტომ ვამბობთ, რომ ეს საკითხი ჩვენც გვეხება და დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ის გადაიჭრას ისე, როგორც ეს განზრახული იყო ნოემბრის შეთანხმებაში. უეჭველათ უნდა მოხდეს ერთი ერთი შეთანხმება, ამ საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს არა აბდულ ჰამიდის მეთოდით, არამედ სწორი დემოკრატიული მეთოდით და უცილებლათ უკუგდებულ უნდა იქნას აღმოსავლეთური დიპლომატია და თუ ეს საჭიროა, ხმარებულ უნდა იქნას ევროპიული დიპლომატია. ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად უნდა აღიაროს, რომ მათ სადავო საკითხები გადასწყვიტონ იმ მეთოდით, რომლითაც ჩვენ თვითონ ვუკავშირდებით, სხვა გამოსავალი არ არის, არც ჩვენთვის და არც მათთვის. ჩვენ არ უნდა დავუშვათ გარეშე ძალის ჩარევა ამ საქმეში, უნდა შეიგნონ მეზობლებმა, რომ ჩვენ ვართ მეურვენი ჩვენი მომავლისა, ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა (ტაში).

(დასასრული იქნება).

## ორი თვე კავკასიაში

II

ჩვენ ხასყდღისთანავე შეუდექით პირდაპირი მიზნის გარშემო მუშაობას,— სიმიდის გამოზიდვის მოწყობას. ჩქარა გამოირკვა, რომ დენიკინის ბლოკადით ჩვენზე უფრო უკმაყოფილონი მისი ქვეშევრდომები იყვნენ. იმათ სიმიდი ჰქონდათ, ხოლო სხვა საქონელი აკლდათ და არსაიდან არ შეეძლოთ მოტანა. წინათ თურმე ეზიდებოდნენ სპარსეთიდან კასპის ზღვით პეტროვსკზე, ხოლო ამ გზის დაკეტვის შემდეგ დარჩნენ თავის თავის ამარა, თავის თავათ კი თერგის ოლქში მხოლოდ არაყის ქარხანა მუშაობს. ყოფილა წინათ სხვა ქარხნებიც, სხვათაშორის, ლითონის ქარხნებიც; მაგრამ ანარხიას მოუსპია. და ასე, დარჩენილა მხარე უწყვეთ. ამის გამო იყო, რომ იქ საშინელი სიძვირე მძვინვარებდა და მძვინვარებს. გირვანქა შაქრის ფასი 500 მანეთი ღირს, არშინი დაბალი ხარისხის ჩითი 400—500 მანეთი, ე. წ. სადღესასწაულო ხიშარი 2000—3000 მანეთი და სხვა. ამის გამო არ იყო იაფი არც სანოვაგე. ამიტომაც იყო, რომ ჩვენ მისსიას თანაგრძნობით შეხვდა მთელი ოლქი, ოლქში არსებული კოოპერატივები და ვაჭრებიც. სოფლის საზოგადოებები „ხოდოკებს" გვიგზავნიდნენ გასაგებათ: მოგვეცემა მართლა საქონელს სიმიდში თუ არა. ჩვენ ყველას ვუხსნიდით მდგომარეობას, ვუჩვენებდით დენიკინის ბლოკადაზე და ვურჩევდით თითონაც მიემართათ ადგილობრივ უფროსებისათვის, რომელთანაც ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება. ამ შექმნილ სოფლიურ განწყობილებისა და აგრეთვე იმის გამო რომ საქართველოს, როგორც უკანასკნელ თავშესაფარს სარდლობაც ისე უყურებდა, როგორც ყველა უბრალო მოქალაქენი, სარდლობაც თანაგრძნობით შეხვდა ჩვენს მიმართვას. დენიკინისაგანაც თანხმობა მიიღეს და ის იყო ფორმალური ნებართვა უნდა აეღოთ, რომ დენიკინისაგან დეპეშა მიიღეს: შესწყვიტეთ საქართველოს კონსულთან მოლაპარაკება, თფილისში წარმომადგენლებს ნუღარ გაგზავნით, ქართველები სოჭის ოლქში გვეტევიან და მეც ომს ვუცხადებო. მართლაც გამოქვეყნდა დენიკინის ბრძანება ჯარებისა და ფლოტისადმი ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებისა. ჩვენ კარგათ ვიცოდით რაშიაც იყო საქმე, რომ სოჭი ქართველებმა ჯარმა კი არა „ზელიონებმა" აიღეს ისევ დენიკინის ჯარის დახმარებით, ვიცოდით ისიც, თუ რა რეალური ძალა ჰყავდა ამ დროს გენერალს და სიცილის გუნებაზე დავდექით, არ გვიამა მხოლოდ, რომ სიმინდის საქმე შეგვეფერხდა. ამიტომ მივიღეთ ზომები ინციდენტის ჩქარა გამოსარკვევათ. პირველათ ყოფილისა კონსულმა ოფიციალურათ განაცხადა, რომ სოჭის საქმესთან ჩვენს მთავრობას და მის ჯარს არავითარი კავშირი არ აქვს, რაც ძალიან იამა შეშინებულ სარდლობას და ძალზე გაუხარდა პირდაპირ დამფრთხალ-განცვიფრებულ საზოგადოებას. ეს უკანასკნელნი რიგში იდგნენ ჩვენ საკონსულოსთან, რომ თავის ყურით პირდაპირ ჩვენგან მიეღოთ სანუგეშო სიტყვები, რომ საქართველო ომს არ აწარმოებს დენიკინის მიერ დაკავებულ ოლქებთან. ამხ. დეგემუაძე ყაზბეგში წავიდა და იქიდან პირდაპირი მავთულით მიიღო ე. გეგეჭკორის ოფიციალური განცხადებაც, რის შემდეგ დენიკინმაც უკან წაიღო ბრძანება ჩვენი გალაშქრების შესახებ და იყო სიხარული მთელ ოლქში, სადაც ტელეფონით და ტელეგრაფით მოიფინეს ეს სანუგეშო ამბავი და საიდანაც ეკითხებოდნენ საკონსულოს.

ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ წინასწარათ ათი ვაგონი სიმიდის ნებართვა და შევუდექით მის შესყიდვა გამოტანის საქმეს, მაგრამ გზა და გზა არ ვივიწყებდით ჩვენს მეორე, არა პირდაპირ მიზანსაც: ოლქის ყოველმხრივი გაცნობას.

პირველათ ყოფილისა შეეცადეთ გავცნობოდით მუშათა ორგანიზაციებს, მაგრამ არც ლეგალური და არც არალეგალური ასეთი კავკავში არაფერი აღმოჩნდა. გავიცანით ორიოდე თანამოაზრენი, რომლებიც ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ ჩვენ ოთახშიაც ფუჩფუჩით ლაპარაკობდნენ, მოსვლასაც ერიდებოდნენ. არ ჩანდა არც ბოლშევიკები. ყველა ძველი მუშა თუ არ დაჭერილი, წასულიყო და ასე, ოლქი იყო გაცვეთებული იყო მხოლოდ ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მემკვიდრე,— დენიკინის „ოსვაგა" (Освѣдомитель. бюро) საპროპაგანდო განყოფილებებით მთელ მხარეში. უნდა სიმართლე ითქვას, თავის მოვალეობას შავთა ეს კრებული პირნათლათ ასრულებდა. განსაკუთრებით კარგათ ჰქონდა მოწყობილი სურათებიანი და კარიკატურებიანი პლაკატების შედგენა გავრცელება.

ბოლშევიკების ველურობა სისასტიკე და წარმოების გამანადგურებელი მოქმედება ერთი მხრით და დენიკინელების რაინდობა და აღმშენებლობითი მოღვაწეობა მეორეს მხრით, აი თემა დასურათებულ პლაკატების. მათ შორის როგორიც აგლი ერთ პლაკატს, რომელიც წარმოადგენდა კერპთაყვანისმცემლობის დროისებურ უზარმაზარ სამსხვერპლოს მარქსის კერპით თავზე; სამსხვერპლოზე სუფრაზე გაშვებული და ირგვლივ მაგრათ შეკრული გაშიშვლებული რუსეთი ქალის სახით; სამსხვერპლო ხვეულებსამებრ გამოხატულია ცეცხლ ანთებით; ირგვლივ შემოხვევიან ბოლშევიკთა ყველა ლიდერები ფანატიკ ქურუმების ტანსაცმელში, რაც ჯალათის გამოხატვაზე; შეკრული-შეუღლებული; ტროცკის დანა აუმართავს, რომ მსხვერპლი წინასწარ დაკლას, სანამ დასწვამდენ; ლენინს (მთავარ ჯალათის მსგავსათ წითელათ აცვია) ხელები კერპისაკენ აღუმართავს და ყველანი უცდიან დიდებულ წუთს, ბოლოში კერენსკი მიუხატავთ ნეიტრალურ ტანსაცმელში, რომელიც სურათს უცქერის გულგრილათ...

ჩვენ დროს ამ სურათებს აღარავინ აღარ უცქეროდა, აღარავის აღარ აღელვებდა, მხოლოდღა ზარმაც ზიზღს იწვევდა „ოსვაგას" მიმართ, ეზიზღებოდა მოქალაქეებს მისი საქციელი, მაგრამ ენერგია აღარ ჰქონდა მის სალანძღავათ. „ოსვაგა" მაინც არ იშლიდა თავისას და კიდევ განაგრძობდა ახალი ზიზრიურების ბეჭდვას.

შევეცადეთ სოფლის გაცნობასაც. ჩვენ ინგუშეთისათვის სპეციალური დავალებით გვახლდა ამხ. გ. ფალავა და ერთი ინგუში; როგორც გზის მაჩვენებელი. ინგუში წინასწარ გავგზავნეთ სოფელში, რომელმაც ინახულა ვინც უნდოდა და დაბრუნდა გ. ფალავას წასაყვანათ. ერთ კვირამდე დარჩა იქ ამხ. ფალავა, დაესწრო რამდენიმე მოხუცთა კრებას, გაეცნო მათ ზნე-ჩვეულებს და მისწრაფებებს და დაბრუნდა ჩვენთან. ჩვენც ამ დროს, სხვადასხვა გზით ვეცნობოდით როგორც ინგუშების, ისე ოსების სულისკვეთებას.

ყველაზედ უფრო დენიკინელები ძულდა ინგუშებს. ინგუში სისხლს ღვრიდა დენიკინელისას, ერთიან გადაეტყდა, რომ შესძლებოდა. მისი სიხარული იყო ამ ხალხის მოსპობა და რადგან ასეთი თავის იმედი ამ საქმეში არ ჰქონდა, უცდიდა ვინმეს მისვლას და დახმარებას. ასეთ ძალათ ინგუში სთვლიდა ბოლშევიკებს. მას არ მოსწონს ბოლშევიკი როგორც სახელმწიფოებრივი ან სოციალ პოლიტიკური მოვლენა, მაგრამ ის საჭიროა როგორც სამხედრო ძალა, რომელიც გაანადგურებს დენიკინს. დენიკინს მოსპობს ის და ამით განთავისუფლდება ინგუში და ინგუშმა იცის შემდეგ როგორ გაუსწორდება თავის მტრებს, ასე ვთქვათ უფრო სუსტ მტრებს, რომლებიც დენიკინის ფრთებ ქვეშ წელ გამაგრებული აბრიგებდა მას, ინგუშს.

ბოლშევიკები მისი აზრით ოსი და ყაზახი. მათზე ჯავრის ამოყრის სურვილით დნება ინგუში.

ინგუშს მოსწონს ჩვენი ლაპარაკი. ქართველი ინგუშები თვლიან მონათესავე ტომათ, მასში მოყვარეს ნახავენ, მისი რჩევა ყველაფერი სასარგებლოთ მიაჩნია, მაგრამ უკვირს, რათ ურჩევს მას ქართველი ოსებთან და ყაზახებთან მეგობრობას, მათთან ერთად თავის საქმეების მოწყობას!?

ასეთია ინგუშეთის მასსა. სამწუხაროთ, ინტელიგენცია მათ ძალიან ცოტა ჰყავს და ისინიც დენიკინისაგან გაფენილია. მოხუცები გრძნობენ ამ ნაკლს და შემოგვჩივიან, ჩვენ ქართველებს: თქვენ რა გიჭირსთ: ბევრი ჭკვიანი ნასწავლი ხალხი გყავსთ, კარგი წინამძღოლები გყავსთო. სამწუხარო კიდევ ისაა, რომ ზოგ ინტელიგენტს საქციელით ხალხს ნდობა დაუკარგავს იმ ორიოდე ინტელიგენტებისადმიც კი, რაც მათ მოეძებნებათ. ინგუშეთში მაგალითად მოგვიყვანეს ყველა, თუ როგორ გახსნა საკუთარი ბანკი ევროპაში ვიღაც ჩერმოევმა, რომელიც დელეგატათ გაგზავნეს. იყო აქა იქ წვრილი ინტელიგენცია, მასწავლებლები ახალგაზრდობიდან, კომუნისტურათ მომართული. რომლებიც მალულათ ცხოვრობდნენ ინგუშეთში და ამზადებდნენ მასსას ბოლშევიკების შესახვედრათ. მათი პროპაგანდა მარტივი იყო: ბოლშევიზმი ძლიერია და სამართლიანი. ამიტომ ვერც შევძლებთ და არც უნდა ვეწინააღმდეგოთ მის მოსვლასო.

არც ოსებია ინტელიგენციით მდიდარი, მაგრამ ამ მხრით გაცილებით წინ დგანან. დენიკინის წინააღმდეგი აზრი და მით უმეტეს ზიზღი, ოსეთში გაცილებით ნაკლებ იყო ფეხმოკიდებული. ერთია მხოლოდ, რომ ბოლშევიზმი მათში უფრო ორგანიზაციული და გამოჩინებული იყო, მაგრამ ის ისევ ოსებში ნახულობდა მტერს, ისინი იქ არსებობენ „ქერმენისტების" სახელით (ვიღაც ქერმენის პატივსაცემათ). ერთხელ მათ გამოსვლაც კი მოაწყვეს, მაგრამ თავმა პოლკმა, რომელიც გზა არ წამოაყვა ერთდღა დაერხა ოსეთში, დაამარცხა ისინი (ქერმენისტები) სხვა ძალების დამხმარებლათ. ამ ხანად ოსეთი კიდევ უფრო გამოურკვეველი იყო, ვინემ ინგუშეთი. ოსებმა მხოლოდ ერთი იცოდნენ, რომ დენიკინი თუ წავა, ვინმე უნდა მოვიდეს, სხვანაირათ არ შეიძლება, ადგილობრივი ხალხები ისე ვერ მოარიგებენ და ვერც მოაწყობს საქმეს საკუთარი ძალებით. როგორც ყაზახები, ისე ისინიც ჯერ კიდევ არ კარგავდენ იმედს „უმაღლეს კრუგის" საშუალებით საქმის გამოსწორებისას. ბოლშევიკები მათ მიუღებლათ მიაჩნდათ და ქერმენისტები გიჟებით, მაგრამ სად ეძებნათ ხსნა, თუ მოხუცისინი წავიდოდნენ?

საქართველო არ მიიღებს, არ შეიფარებს? ეს, რას ჩაგვჩრია შუაში ეს მთიები? ამბობს ორი აბივატელი და ორი ინტელიგენტი თითქოს საერთო აზრს. მე რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა გამეხსნებინა ასეთ მოსაუბრეებისთვის ზოგიერთი ჩვენი ოსების ამბები და ჩრდილოეთ ოსების როლი მათ უმადურ მოქმედებაში. ჩვენმა დემოკრატიამ მათ მისცა წესრიგი და მიწა, ხოლო ზოგიერთი ოქვენების დახმარებით ის უჯანყდება ამ დემოკრატიას ხან დენიკინის და ხან ლენინის სახელ გიბლიდ თქვა, რაზედაც ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი იყო:

ქერმენისტები, გიჟი ქერმენისტებისაგან გვჭირს ყველაფერიო.

ამავე დროს თითონ კავკავში, ერთგვარი გარეშემო მოწყობილ ნაციონალურ მართველობებში და მართველებში თითქოს კარგი მეზობლური განწყობილებაც იყო. დენიკინის მეგობარი ინგუში გენერლები და ოსი გენერლები ერთი ერთისაც მეგობრები იყვნენ. ვიცი, იყვნენ ამ დროს ერთის და მეორე ხალხთანაც თითო ორიოდე პირი, სადა ინტელიგენტები, რომლებიც იწოდენ სამივე ხალხის სიკეთის სურვილით, ნატრობდნენ ენახათ ისინი ბედნიერ ჩაკიდებულნი და თავისუფალი, მაგრამ .. მაგრამ ის ვსწლავთ, რომ ეს ხალხის მეგობრები ხალხიდან შორს იყვნენ, ხალხში არ ჩანდნენ. ისინი ჩვენში ცხოვრობდნენ და ჩვენსგან ვერ უსწავლიათ, რომ ხალხის წინამძღოლობა შორიდან არ ეწყობა ისე, როგორც თევზაობა მთებიდან არ შეიძლება.

ზ. დათიაშვილი

(შემდეგი იქნება)

## რუსეთის რევოლ. და დღევანდელი სინამდვილე

ამ თემაზე 9 აპრილს სახელმწიფო თეატრში მოხსენება გააკეთა ამხ. სეით დევდარიანმა.

მოხსენების მთავარი დებულებები შემდეგში გამოიხატება: რუსეთის რევოლუცია გართულებულ შინაურ და საერთაშორისო პირობებში იშვა. რუსეთში არ არსებობდა მესამე ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციის სათავეში ჩადგომოდა და მისთვის ბუნებრივი მსვლელობა მიეცა. ამიტომ რევოლუცია ხანმოკლე გამოდგა და იგი დამარცხდა. ნიადაგი მოუმზადა ბოლშევიკების ბატონობას; ბოლშევიკებმა მიზნათ დაისახეს სოციალიზმის განხორციელება. მაგრამ მათ თავიანთ პოლიტიკით დაშალეს წარმოება, გაანადგურეს საწარმოვო ძალები, რითაც მოსპეს ის საფუძველი, რაზედაც სოციალიზმი უნდა განხორციელდეს. ამაში გამოიხატება ბოლშევიკების რეაქციონერობა. კლასიური ბრძოლის მაგივრათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მათ გააჩაღეს კლასიური შური—ძიება „ბურჟუების" წინააღმდეგ. იმის მაგივრათ, რომ ხელი შეეწყოთ წარმოების აყვავებისათვის,— მათ იწყეს სოციალისტური ექსპერიმენტები და დაამყარეს „მოხმარების სოციალიზმი". ბოლშევიკებმა ძირს დასცეს სოციალიზმის ავტორიტეტი მასსის თვალში; სოციალიზმის აზრიდით გაბატონებული კლასები ევროპაში და სხვაგან აშინებენ მუშათა კლასს. ბოლშევიკებმა რუსეთში „პროლეტარიატის დიქტატურა" კი არ დაამყარეს, როგორც ბევრს ჰგონიათ, მათ დაამყარეს „პიროვნული დიქტატურა" სახალხო კომისარებისა; საბჭოთა რუსეთში არ არის განხორციელებული ნამდვილი საბჭოთა სისტემა, არ არის საბჭოების დიქტატურა,—გამეფებულია საბჭოთა მთავრობის ბიუროკრატიზმი. დიქტატურა მაშინ არის ნამდვილი და მიზანშეწონილი, მაშინ არის მისაღები, როდესაც გაბატონებული ნება ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილის გამომხატველია. ასეთი დიქტატურა ისტორიამ მხოლოდ ერთი იცის—პარიზის კომუნარების დიქტატურა; მეორე ასეთი დიქტატურა არსებობს დღეს საქართველოში. რუსეთში არ არის მესამე ძალა, რომელსაც შეეძლოს გაანთავისუფლოს ქვეყანა ბოლშევიკების ბატონობისაგან და მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს რუსეთის მრეწველობა.

განწყობილება რუსეთის გლეხობისა საბჭოთა მთავრობის მიმართ მტრულია, დენიკინი გლეხებმა დაამარცხეს, გლეხებივე დაამარცხებენ ლენინს ერთად-ერთი ძალა, რაზედაც საბჭოთა მთავრობა ემყარება, ეს არის იარაღის ძალა. ბოლშევიკები იმავე საქმეს აკეთებენ, რასაც დენიკინი აკეთებდა: ისინი ცდილობენ გააერთიანონ ძველი რუსეთი. მაგრამ არავითარ ძალას არ შეუძლია „მთლიან რუსეთის" აღდგენა.

დღეს სოციალიზმის განხორციელება არც ერთ სახელმწიფოში არ შეიძლება; სოციალიზმი დღეს დასავლეთშიაც დიდი ფუფუნება იქნებოდა. საერთაშორისო ასპარეზზე დღეს დემოკრატიზმი უნდა გაბატონდეს. საერთაშორისო დემოკრატია ერთად ერთი ძალაა დღევანდელ პირობებში, რომელსაც შეუძლია კაცობრიობა დააყენოს წინსვლის გზაზე.

ზოგადათ საკითხი საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა. საქართველოს დემოკრატია ჩანასახია საერთაშორისო დემოკრატიისა, რომელიც მესამე ძალათ უნდა მოევლინოს და იხსნას კაცობრიობა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ფირუმიანმა (რუსეთის სოც.-დემოკრატი), ს. სააქიანმა (რუს. ესერი), გეპშტეინმა (რუს. ს. დ.), ვ. ჯუღელმა, გ. აიოლომ და მანდელშტამმა (კადეტი).

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვ. ჯუღელმა, რომელსაც საზოგადოება დიდის აღფრთოვანებითა და ტაშის ცემით შეხვდა. მან სთქვა:

მე მიყვარს ბოლშევიკები; მე მიყვარს მათი ტაშის ცემა და აზმაურება, ვინაიდან რამდენადაც უფრო ხმა მაღლა ლაპარაკობენ ისინი, იმდენად უფრო სწორედ და საიმედოთ ვცემთ ჩვენ მათ. (მხურვალე ტაში). ისინი მუდამ რუსეთისაკენ იხედებიან. მაშინ, როდესაც ამხ. დევდარიანი აქედან თქვენ მოხსენებას გიკითხავდათ, ბოლშევიკები ამ დროს ქანდარიდან პარტერში პროკლამაციებს აბნევდნენ. ერთი ასეთი პროკლამაცია მეც ჩამივარდა ხელში (ხელში უჭირავს); ჩვენებური ბოლშევიკები ამ პროკლამაციაში ხელს უწყობიან მთელ ამიერ კავკასიის მშრომელთა სახელით მოსკოვის ამხანაგებს და სთხოვენ დაიხსნან ისინი საქართველოს ბატონობისაგან,—იმ საქართველოს, რომელმაც თავშესაფარი მისცა მათ და იხსნა განადგურებისაგან.. აქ ამბობენ მოწინააღმდეგენი, რომ რუსეთის რევოლუციამ გაიმარჯვაო. ერთ ერთი მაჩვენებელი ამ გამარჯვებისა, ის თუ იქნება, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრი აქ, საქართველოში ჩამოვიდა...

ჩვენ იმით განვსხვავდებით ბურჟუაზიისაგან, რომ ჩვენ საერთაშორისო დემოკრატიის წარმომადგენლები ვართ. არც ჩვენ უარვყოფთ რეპრესიებს და ძალდატანებას; რევოლუცია ითხოვს მსხვერპლს, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ მით უკეთესია რევოლუციისათვის, რაც უფრო ნაკლები იქნება რეპრესიები, ნაკლები იქნება სისასტიკე და სისხლის ღვრა. ამ გზას ვადგევართ და გაგვყავართ ჩვენ და ამ პოლიტიკით შევძელით ჩვენ შეგვენარჩუნებინა რევოლუციის მონაპოვართა დიდი ნაწილი.

თუ ბოლშევიკები არ დადგებიან და ჩვენსკენ წამოვლენ,—ჩვენ მათ ვეტყვით: წადით და თქვენი სოციალისტური ექსპერიმენტები მოაწყვეთ იქ, რუსეთში; ჩვენ კი აქ, საქართველოში მოვახდენთ ჩვენებურ, დემოკრატიულ ექსპერიმენტებს. თუ კი ისინი იარაღს მოიმარჯვებენ ჩვენს წინააღმდეგ,—ჩვენც მათ იარაღითვე ვუპასუხებთ. და მე მრწამს, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება...

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ მოდიოდნენ გასულ წელს ჩვენში რუსეთიდან გამოქცეული ბოლშევიკები, დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ გამორბიან ბოლშევიკებისაგან მოხალისენი; მაგრამ რამდენი ვერ იხილავს საქართველოს დემოკრატიის მეთაურთ თავის სამშობლოდან გაქცეულთ. ისინი მტერს აქვე მტრულათ დახვდებიან, ან გაიმარჯვებენ ან აქვე დაიხოცებიან. (ხანგრძლივი ტაში).

მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. დევდარიანის მოხსენება რუსეთის რევოლუციის ხასიათისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, კრება აცხადებს, რომ იგი სავსებით იზიარებს მომხსენებლის მთავარ დებულებებს. კრება გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელიც ხალხის ფართო დემოკრატიულ წრეებს ეყრდნობა, შეუძლია გამოიყვანოს დღევანდელი კაცობრიობა სიდუხჭირიდან და ანარქიიდან და გაკვალოს გზა სოციალიზმისაკენ. სცნობს რა ბოლშევიკების მოქმედებას რუსეთში დამღუპველათ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობისათვის, რომელსაც შეუძლია მოუტანოს საწარმოო ძალთა სრული განადგურება,— კრება იწონებს საქართველოს სოციალისტური მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ჰკრებს თავის გარშემო ხალხის ყველა სასიცოცხლო ძალებს და გზას უხსნის მუშათა კლასს სოციალისტურ წყობილებისაკენ".

## ამიერ კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

9 აპრილს 12 საათსა და 30 წუთზე შესდგა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების სხდომა ე. პ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. მონაწილეობას იღებენ საქართველოდან საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე და სომხეთის რესპუბლიკაში საქართ. დიპლომატიური წარმომადგენელი გ. თ. მახარაძე.

აზერბეიჯანიდან პარლამენტის წევრები დ-რ. ჰასანბეგ-აღაევი, საქართველოში აზერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ფარის ბეგ ვეკილოვი და იუსტიციის მინ. ამხანაგი ოლგერბი კრიჩინსკი. სომხეთიდან: საგარეო საქმეთა მინისტრი ოგაჯანიანი, პარლამენტის წევრი ს. ს. ხანტურიანი, ტ. ა. ბეკზადიანი და ს. გამანიკიანი. აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკის კონფერენციამ დაიწყო რა თავის მუშაობა, აღნიშნა: პირველი: დაუყონებლივ შესწყვეტილიყო სისხლის ღვრა ყაზახში, ნახიჩევანში, ორდუბადში და ყარაბაღში. მეორე: იმავე დროს კონფერენცია მოითხოვს, რომ აზერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობამ დაუყონებლივ მიიღონ ზომები, რათა მოსპობილ იქნეს ყოველივე შესაძლებლობა სომეხ და მუსულმან მცხოვრებთა შეტაკებისა ამ ორი რესპუბლიკის მიჯნებზე. მესამე: საჩქაროთ ეცნობოს ეს დადგენილება აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობას, რათა მათ ამ მიმართულებით სათანადო ზომები მიიღონ. კონფერენციის პრეზიდიუმში: ა აღაევი, ს. მამიკონიანი, ე. გეგეჭკორი. 12 აპრილის სხდომაზე მიღებულია შემდეგი დადგენილება: კონფერენცია ირჩევს 6 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც: 1 ადგილობრივ ატარებს და კანტროლს უკეთებს კონფერენციის დადგენილებებს, რომელიც შეეხება სისხლის ღვრის მოსპობას და „სტატუს ქვო"ს აღდგენას. 2. არკვევს და აშუქებს მომხდარ შეტაკებათა მიზეზებსა და სურათებს.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

13 აპრილი.

### ინგლისური ცნობები.

**გერმანიის მთავრობის პროტესტი**

ბერლინიდან იუწყებიან, რომ მთავრობა საფრანგეთისადმი მიმართულ თავის ნოტაში სამართლიანობის ფუძლებისა და ადამიანობის სახელით პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ჯარის მოქმედების გამო.

**სამხედრო მოქმედება რუსებსა და იაპონელებს შორის.**

ტოკიო. 6 აპრ. იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ აღმოსავლეთ ციმბირში,—ნიკოლსკში და ხაბაროვსკში იაპონელებსა და რუსებს შორის სამხედრო მოქმედება დაიწყო.

**გერმანიის ქალაქების ოკუპაცია.**

ბერლინიდან მოსული ცნობები ამტკიცებს, რომ ფრანკფურტისა, დარმშტადტისა და განაუს გარდა დაჭერილია კიდევ ოფენბახი, ჰამბურგი და ვისბადენი.

**წითლებისათვის იარაღის აყრა.**

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გუშინ წითლებმა ელბერფელდში გაიარეს, სადაც ლიდემა უმეტესობამ იარაღი დაყარა. წითელი ჯარის სხვა ნაწილი დაჭერილ ტერიტორიისაკენ გაემგზავრა უმთავრესად ზოლინგენისაკენ, სადაც მათ ინგლისელებმა იარაღი აყარეს.

**საკუთარი პასუხისმგებლობით.**

ლონდონიდან მოსული ცნობით ოფიციალურად ცნობილია, რომ საფრანგეთმა განსაკუთრებული ზომები მიიღო გერმანიის წინააღმდეგ თავის საკუთარი პასუხისმგებლობით. ინგლისი, ბელგია და ამერიკა ამ ზომების წინააღმდეგ წავიდნენ.

**მეზღვაურთა გაფიცვა.**

მეზღვაურთა გაფიცვის გამო, მარსელიდან არც ერთი გემი არ გამოდის.

### სამეურნეობის ცხოვრება.

(გამოტოვებულია) ამყარებს რა შრომელთა მოწინავე წრეებში შრომის აწევის ნიშნებს, ყრილობა თავის ყურადღებას უმახვილებს საბჭოთა გამგეობის ყველა ადგილობრივი და ცენტრალურ დაწესებულებანი საბჭოთა რესპუბლიკისა, რომ მათ არ გადაამეტონ მიღწეული შედეგების დაფასებაში. შრომის აწევა ნამდვილ გამარჯვებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს თუ: ა) ჩვენი პარტიისა და პროფესიონალური კავშირების საგიტაციო-ორგანიზაციული მუშაობით იგი მუშათა მოწინავე რაზმებიდან გავრცელებული იქნება ქალაქისა და სოფლის მრავალ მილიონიან მშრომელთა მასაზე, ბ) ცენტრალური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რომ შრომის აწევას რაოდენობისა და ღირსებას ანგარიში გაუწიონ, სისწორითა და თავის დროზე ისარგებლონ მუშათა მოსულ ძალით, თავის დროზე დაიმძლიონ ძალთა დაქსაქსვას, კუსტარობასა და შრომის პარტიზანობას ისე, რომ ისინი არ მოსპონ, არამედ ნელ-ნელა შეიყვანონ საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის ჩარჩოებში. ქვეყნის სამეურნეო ადორძინების ძირითად პირობას წარმოადგენს ფაქტიურ ცხოვრებაში გატარება საერთო სამეურნეო გეგმისა, რომელიც უახლოეს ისტორიულ ეპოქაში უნდა განხორციელდეს.

ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების განადგურებისა და მომავალი განვითარების მიხედვით სამეურნეო გეგმა ბუნებრივათ ნაწილდება რამდენიმე ერთმანეთზე დამოკიდებულ ძირითად საკითხებათ: ა) პირველად ყოვლისა ტრანსპორტის მდგომარეობის გაუმჯობესება, მოტანა და დაგროვება პურის, სათბობი და ნედლი მასალის აუცილებელ თადარიგისა; ბ) მანქანათა კეთება ტრანსპორტის მიზნისათვის და სათბობი და ნედლ მასალათა და პურის შესაძენათ; გ) მანქანათა კეთებისათვის და გაძლიერებული მუშაობა საერთო სახმარებელ სურსათ სანოვაგის შესაძენათ; დ) გაძლიერებული მუშაობა მასიურ სახმარებელ სურსათ-სანოვაგისათვის. ზემო ნაჩვენებ გეგმის გატარების დროს უნდა ვისარგებლოთ ტექნიკურ ახალი მიღწევებით. საჭიროა ფართოდ ვისარგებლოთ ელექტრონის ენერგიით საერთო სამეურნეო გეგმის ცხოვრებაში გატარების ძირითად ეტაპების მიხედვით: ა) უნდა გამომუშავებულ იქნას სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის გეგმა და განხორციელდეს ელექტროფიკაციის პროგრამა—მინიმუმი, ე. ი. უნდა მოხდეს გამოყოფა ელექტრო-მომარაგების ძირითადი მუშლებისა და ამ მიზნისთვის არსებულ საელექტრონო სადგურების გამოყენება; ბ) უნდა აშენდეს პირველი ხარისხოვანი ძირითადი რაიონული ელექტრონის სადგურები და გაკეთდეს ელექტრონის გადასაცემი უმთავრესი ხაზები ქარხნების მოქმედებათა ფართოდ ლის სათანადო გადაფართოვებით ელექტრო-ტექნიკური მოწყობილობათა გასაკეთებლად; გ) უნდა გაკეთდეს ხარისხოვანი რაიონული სადგურები განვითარდეს ელექტრონის ქსელები, მნიშვნელოვან წარმოების პროცესთა თანდათანი ელექტროფიკაცია მოხდეს; დ) უნდა მოხდეს აგრეთვე მიწათმოქმედების, ტრანსპორტისა და მიწად მოქმედების ელექტროფიკაცია. ამ უმთავრეს სამეურნეო გეგმიდან, რომელიც სულ მალე ხანში უნდა განხორციელდეს, უნდა გამოდიოდნენ საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ცენტრები. მათ უნდა მოიწვიონ თავისი უმთავრესი ძალები და იხმარონ საშუალებანი ყოველ სამეურნეო ძირითად საკითხის გადასაჭრელად გარეშე ეპქრობა, რამდენადაც მისი შესაძლებლობა საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე იხსნება, მთლიანად უნდა დაემორჩილოს ძირითად სამეურნეო გეგმას. ძირითადი მიზნის დამხმარე წარმოება უნდა განვითარდეს იმის და მიხედვით, თუ რამდენათ აუცილებელია იგი. იმ წარმოებათ, რომელიც აუცილებელი არ არის სამეურნეო პერიოდის ძირითადი მიზნისთვის შეიძლება მხარი დაუჭიროთ იმდენათ, რამდენათაც მათი მუშაობა ხელს არ უშლის უმთავრესი მიზნის ცხოვრებაში გატარებას. ამის გამო მიმდინარე სამეურნეო მიზნები საბჭოთა სამეურნეო ცენტრებისა უნდა წარმოადგენდეს არა უბრალო ჯამს წინასწარ გამოანგარიშებულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა, არამედ მტკიცეთ და თანდათანობით უნდა გამომდინარეობდეს ახლო დროში განსახორციელებლად დანიშნულ მთელ სამეურნეო გეგმიდან. დასახულ გეგმის განხორციელება შესაძლებელია მუშათა კლასის მოწინავე ელემენტთა მრავალ კერძო და ერთდროულ გმირულ ძალის საშუალებით, არამედ მუდმივ ენთუზიასტიკურ და მიზანშეწონილ შრომით, რომელიც თანდათან თავის წრეში ჩაითრევს მშრომელთა უფრო მეტსა და მეტ მასას. წარმატება ამ თანდათან უფრო და უფრო გაფართოებულ მობილიზაციისა და შრომითი ამხედრებულობისა უზრუნველყოფილი იქნება მაშინ, თუ ქალაქისა და სოფლის ფართო მასისათვის გამორკვეული იქნება სამეურნეო გეგმის შინაგანი აზრი, მისი შინაგანი თანდათანობა, რომელიც უზრუნველყოფს ყველასთვის შეღავათებს ნაყოფს მხოლოდ გრძელი პერიოდის შემდეგ, რომელიც დიდ ძალასა და მსხვერპლს მოითხოვს. გ) იღებს რა რ. კ. პ. ც. კ. ტეზისებს ინდუსტრიალურ პროლეტარიატის მობილიზაციის შესახებ შრომის ბეგარის მოსახლეობად, მეურნეობის მილიტარიზაციისა და სამხედრო ნაწილების სამეურნეო საჭიროებისთვის გამოყენების შესახებ, ყრილობა ადგენს: პარტიის ორგანიზაციები ყოველნაირად უნდა დაეხმარონ პროფ. კავშირებსა და შრომის განყოფილებებს ანგარიში გაუწიონ, იყოლიონ კვალიფიცური მუშები წარმოებაში სამუშაოთა მიწევის მიზნით იმგვარივე თანდათანობით და სიმკაცრით, როგორც ეს ტარდება და ტარდებოდა სარდლობის შემადგენლობის პირთა მიმართ ჯარის საჭიროებისათვის. ყველა კვალიფიცური მუშა უნდა დაუბრუნდეს მუშაობას თავის სპეციალობისდა მიხედვით. კვალიფიცური მუშების საბჭოთა სხვა თანამდებობაზე დატოვება შესაძლებელია ცენტრსა და ადგილობრივ მყოფ სათანადო ფუძლიმით ადგილობრივ ორგანოთა ნებართვით და საჭიროა თავიდანვე სწორეთ დაყენებული იქნეს შრომის ბეგარის მოსახლეთა მასიური მობილიზაციის საქმე, ე. ი. საჭიროა ყოველთვის შეძლების დაგვარად სისწორით იყოს გამორკვეული მოწვეულთა რაოდენობა მათი შეკავშირების ადგილთან, შრომის ამოცანის ზომასთან და აუცილებელ იარაღთა რაოდენობასთან. ამგვარათვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოწვეულ შრომის ნაწილები ტექნიკურად კომპეტენტურ და პოლიტიკურად მტკიცე ინსტრუქტორებისა „იანეიკებიდან" წინასწარ მოგროვილ, შემადგენლობით იმგვარივე პრაქტიკით, როგორც ჩვენ ვქმნიდით წითელ არმიას. დ) ყოველ სოციალურ წყობილებას (მონურს, ბატონყმურს, კაპიტალისტურს) თავისი მეთოდები ჰქონდა შრომის აძულებისა და აღზრდისა ექსპლოატატორთა სასარგებლოთ. საბჭოთა წესწყობილების წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სდგას საკითხი თავისი ზედგავლენის მეთოდების განვითარების შესახებ იმ მიზნით, რომ აწეულ იქნას შრომის ინტენსივობა და მიზანშეწონილობა განსაზოგადოებულ მეურნეობის ნიადაგზე მშრომელთა მასაზე აგიტაციონური და იდეიური ზედგავლენასთან ერთად და ცუდლუტების, პარაზიტებისა და დეზორგანიზატორების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს გარდა, შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად ერთ უდიდეს ძალას წარმოადგენს შეჯიბრება.

### სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. დასავლეთის ფრონტი. მოზირის რაიონში მტრის შეტევა წითლებმა მოიგერიეს. ლეტიჩევის რაიონში ბრძოლა წითლების სასარგებლოთ გრძელდება. კავკასიის ფრონტზე წითლებმა ტუაპსე აიღეს.

### უცხოური ცნობები.

### საფრანგეთის ჯარი დარმშტადში.

თანხმობით ლამბურგი საფრანგეთის ჯარმა ფრანკფურტი დაიჭირა. ფრანკფურტში არეულობა მოხდა, მაგრამ საფრანგეთის ჯარმა წესრიგი აღადგინა. გერმანელების მხრივ 6 მკვდარია და 35 დაჭრილი.

### ხელშეკრულების რატიფიკაცია.

რუმინეთის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინოს.

### ერთა ლიგა.

ერთა ლიგის საბჭო პარასკევს პარიზში შეიკრიბება.

### ბელგია და საფრანგეთი.

საფრანგეთის გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ ბელგიის გადაწყვეტილებას რადგანაც იგი შეურიგდა საფრანგეთის სამხედრო ზომებს და გამოსთქვამენ აზრს, რომ რურის ოლქში მომხდარი არეულობა მოიტანს მოკავშირეთა თანხმობას და მჭიდრო შეკავშირებას.

### სომხეთის მანდატი.

ერთა ლიგის საბჭო პარასკევს განიხილავს საკითხს სომხეთის მანდატის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა ერთა ლიგას, რომ მან ამ საკითხის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს.

### გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ საფრანგეთს სამჯერ მიმართა ნოტით. რურში თავისი მოქმედების გასამართლებლათ და ფრანკფურტის ოკუპაციის საწინააღმდეგოთ; გერმანია მოითხოვს იმ პირობის ასრულების 3 თვით გადადებას, რომლის ვადა 10 აპრილს თავდება და რომელიც გერმანიის ჯარის პირად შემადგენლობის რიცხვის შემცირებას შეეხება.

### მილერანის პასუხი.

გავასის სააგენტო იუწყება საერთო შინაარსს მილერანის ნოტისას, რომელიც ინგლისის მთავრობას გაეგზავნა. საფრანგეთის მთავრობა პირველად ყოვლისა ამტკიცებს, რომ მისი მოქმედების ლოიალობა არავითარ ეჭვს არ ბადებს. მოკავშირეებს ყოველთვის აფრთხილებდნენ საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა ყოველთვის მტრულად უყურებდა რურში გერმანიის დამატებითი ჯარის შესვლას.

### საფრანგეთ-ბელგიის კავშირი.

„ვენტილ სუეილ"-ის ერთ ერთმა რედაქტორმა ბელგიის ჟურნალისტების მიღების დროს საფრანგეთსა და ბელგიის მომავალ კავშირის შესახებ სთქვა: „ჩვენ დავაჩქარეთ ამ საკითხის განხილვა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საფრანგეთი და ბელგია ადვილად შეთანხმდებიან. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ საკითხის განხილვა ძლიერ კარგს პირობებში მოხდება.

### უმაღლესი საბჭო.

უმაღლესი საბჭო 18 აპრილს სან რემოში შეიკრიბება, და სხვათა შორის განიხილავს პირადი შემადგენლობის შემოკლების ვადა 18 ივლისამდე იქნეს გადადებული.

### იაპონიის თანხმობა.

საფრანგეთის გაზეთები კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ იაპონიის მთავრობა წინააღმდეგი არ არის საფრანგეთის მიერ რეინის მარჯვენა ნაპირის ოკუპაციისა.

### სან რემოს კონფერენცია.

„პტი ჟურნალი" შემდეგ ცნობას იძლევა სან-რემოში მომავალ კონფერენციის შესახებ. კონფერენცია 19 აპრილს უნდა გაიხსნას. გარდა გერმანიის განიარაღების და სხვა საკითხებისა, რომელიც ეხება ხელშეკრულების ასრულებას შეეხება, კონფერენციამ უნდა მოიწონოს ოსმალეთის ხელშეკრულების პროექტი, რომლის ზოგიერთი ნაწილი, როგორც მაგალითად სამხედრო პირობები, ჰაერში ჰკიდია. სავსებით განიხილავენ კონსტანტინოპოლის საკითხს თუ არა, მაგრამ სმირნას ბედი კი აუცილებლად გადაწყდება.

# ახალი ამბები

**მიწის ძვრა თბილისში.** 12 აპრილს, 20 საათს 39 წუთსა და 44 წამზე თბილისში მიწის ძვრა მოხდა. ძალა დაახლოვებით 3 ბალს 6 ურიდა. მიმართულება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო. მიწის ძვრამ დაახლოვებით ნახევარი წამი გასტანა.

◆ **დღეს,** საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დ. მ. პ. თბილისის კომიტეტის სხდომა.

პრეზიდიუმი სთხოვს ამ სხდომას დაესწრონ წარსულ წელსარჩეულ სამაისო კომისიის წევრებს: [illegible] და სხვებს.

◆ **ყაჩაღების შეპყრობა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებით 6 აპრილს გ. თოდუამ და გრ. მეშვიამ ქ. ბაქოში შეიპყრეს ყაჩაღთა მეთაურნი ილარიონ მაჭავარიანი და კ. გველია, შეპყრობილნი 10 აპრილს ჩამოიყვანეს თბილისში და მოათავსეს სამხედრო ციხეში. მათ ბრალდებათ სხვა და სხვა მკვლელობანი ზუგდიდის მაზრაში.

◆ **ნაძალადევის უბნის** სახალხო გვარდიის შტაბთან არსებული კულტურულ განმანათლებელი განყოფილება მართავს წარმოდგენას ნაძალადევის თეატრში ხუთშაბათს, 15 აპრილს. წარმოდგენილი იქნება „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ, კონცერტი და დივერტისმენტი.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს სახ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სცენაზე:—„ნილის ქვეშ"—ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **შევარდენი.** პარასკევს, 16 აპრილს, ტანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი" თავის წევრთა შორის აწყობს შინაურ შევარდნულ შეჯიბრებას. შეჯიბრება გასტანს ორ დღეს (პარასკევს და შაბათს) დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ბილეთების ფასი წევრთათვის 10 მან. და არა წევრთათვის 30 მან.

◆ **ახალი საყმაწვილო წიგნაკი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა საყმაწვილო წიგნაკი: „სურათები თხზულებისათვის. სახელმძღვანელო თხზვისა და საუბარში ყრმათა საწვრთნელად სკოლასა და ოჯახში". გამოცემა ქართული საყმაწვილო გამომცემლობის „სურათები-ზღაპრები"-სა.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი.** ხუთშაბათს, 15 აპრილს, საღამოს 6 ს. იწვევს პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. კრებაზე განხილულ იქნება პარტიული ყრილობის დღის წესრიგი. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნ. რამიშვილი. დღის 5 ს. დანიშნულია კოლექტივის, რაიონში მყოფ მცირე კოლექტივების და მუშათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა.

◆ **მწერალთა საბჭოს კრება.** დღეს საღამოს 7 ს. „ქიმერიონში" დანიშნულია მწერალთა საბჭოს მორიგი კრება. განსახილველია საკითხი პრეზიდიუმის არჩევისა და სხვ. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **სახალხო სახლთან არსებულ ქართულ** სახალხო წრის მართ. წრემ დაადგინა: 20 აპრილს სახალხო სახლში გადამართოს 20 წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად ს. გ. რომანიშვილი-დევდარიანის იუბილე. დაიდგმება პიესა „დალალი". იუბილიარი შეასრულებს ზინაიდას როლს.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს დილით „ქეთო და კოტე", საღამოთი მიშელ დარიალის (ნანობაშვილის) მე 4 გასტროლი—„მანონი"

◆ **სიღნაღის სამაზრო კონფერენცია** მიესალმება ცენტრალურ კომიტეტს და უსურვებს მას კვალავ განაგრძოს დაუღალავი მუშაობა დემოკრატიზმის განსამტკიცებლათ საბოლოო მიზნის—სოციალიზმის განსახორციელებლათ. თავმჯდომარე სიკო ახმეტელი.

◆ გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად გადაეცა სიღნაღ სამაზრო ერობის მაშკიანის თემში შეგროვილი შემოწირულება 7282 მან

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო დ. ცინცაძის მიერ შედგენილი „გამოსადეგი ცნობები რკინის გზების ოპერაციების რევიზიისათვის", წიგნი პირველი,—ფასი 25 მან.

— სადგურ თბილისის მეტ-კოლექტივს შესწირა რკინის გზის საავადმყოფოს უფროს ექიმმა შატილოვმა 441 მანეთი, რისთვისაც მეტ-კოლექტივი ღრმად მადლობას უცხადებს შემომწირველს.

# უცხოეთი

## რუსეთი

საიდუმლო ხელშეკრულება ესტონეთთან. ფრანგული გაზეთების ცნობებით ესტონეთის და საბჭოთა მთავრობის შორის დადებულ ხელშეკრულებას დაემატა 7 საიდუმლო მუხლი. ამ მუხლების თანახმად ესტონეთმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას, თუ რომ რუსეთს თავს დაესხმის პოლონეთი ან და რომელიმე ბალტიის სახელმწიფო. სამაგიეროთ, თუ ესტონეთის მიმართ მიმართავენ ბლოკადას, საბჭოთა მთავრობა ვალად იღებს თავის თავზე სურსათით მიაწოდოს ესტონეთს. საბჭოთა მთავრობა ჰპირდება ესტონეთს, რომ არ გასწევს იქ ბოლშევიკურ პროპაგანდას. ამასთანავე ბოლშევიკებს უფლება ეძლევათ რეველში თავიანთ აგენტები იყოლიონ, რომლებიც კავშირს დაიჭერენ შეერთებულ შტატებში მომუშავე ბოლშევიკ პროპაგანდისტებთან. ესტონეთის მთავრობამ უნდა ნება დართოს ამ აგენტებს რადიო-ტელეგრაფით ისარგებლონ, როდესაც უკანასკნელნი მოისურვებენ მოსკოვის მთავრობასთან კავშირის დაჭერას.

# ბოლშევიკების მოღვაწეობიდან

I.

ბოლშევიკური პარტია ჩვენში გარედან შემოჭრილი ძალაა. მუდმივი კადრი, საგრძნობ რიცხოვანი, ამ პარტიას ადგილობრივ მუშებში, გლეხებში და საზოგადოთ ჩვენს ხალხში არ მოეპოვება. ეს პარტია ეყრდნობა რა ადგილობრივათ მცირე რიცხოვან მიმდევრებს—სარგებლობს სხვადასხვა „შემთხვევებით".

სურსათის კრიზისი, მუშათა გაჭირვებული მდგომარეობა, ხალხისაგან მთავრობის მიერ გადასახადების მოთხოვნა, რეპრესიები ჩვენი დამოუკიდებლობის მტერთა წინააღმდეგ მიმართული და სხვა მრავალი ასეთი, საუკეთესო „შემთხვევებია" ბოლშევიკებისთვის სამოღვაწეოთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომ პარტიებს შორის წარმოებული ბრძოლაც ბოლშევიკების ხელში საუკეთესო „შემთხვევა" და საშუალებაა ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ.

მაგალითებით ვიცით, რომ რუსეთში ბოლშევიკებმა ყოველგვარი ძალა გამოიყენეს იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ ძალა-უფლება.

ამ გზით აპირობენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ჩვენშიაც. ჩვენში ბოლშევიკების მიერ მოწყობილი გამოსვლებიდან შემდეგი ვისწავლეთ: როცა ისინი ამა თუ იმ ალაგას თავიანთ ძალებს ჩამოსწერდენ,—ნამდვილ, საიმედო ძალებთან ერთად იხსენიებდენ თანამგრძნობთაც.

დღემდე ეს თანამგრძნობნი თუ ბოლშევიკებს ზოგიერთ მთავრობით უკმაყოფილო ელემენტებში ჰყავდათ, დღეს უკვე იმ პოლიტიკურ პარტიებშიაც აღმოაჩნდათ, რომლებიც, მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგანან, მაგრამ პარტიული კაპიტალის შესაძენათ აკრიტიკებენ რა მთავრობის მოქმედებას, თავშეუკავებელ დემაგოგიას ეწევიან ხალხში.

აქ საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ბოლშევიკურ არალეგალურ მოქმედებაზე, მათ არალეგალურ ლიტერატურაზე და ჩვენი მთავრობის ლეგალურ ოპოზიციის პრესაზე.

უეჭველია, ბევრს ჩვენგანს წაკითხული ექნება და ახლაც კითხულობს ბოლშევიკურ ფურცლებს. ვერც ერთ ფურცელს ვერ ნახავთ ისეთს, რომ ჩვენი მთავრობა მოღალატეთ არ იყოს გამოცხადებული. მოღალატე მთავრობა, მოღალატე პარტიები, მოღალატე ბელადები—ერთი სიტყვით, მათი ფურცლების მიხედვით მოღალატეა ყველა, ვინც ბოლშევიკი არ არის... ასე სწერდნენ ბოლშევიკები თავიდან, მაგრამ დღეს საჭიროდ დაინახეს ყველა ამას ერთი ახალი „საბუთი" დაუმატონ: მათი აზრით, მოღალატეა, მოსყიდულია ყველა ის მუშა, გლეხი, რომელიც მხარს უჭერს ჩვენს მთავრობას, არ ანგრევს ჩვენს რესპუბლიკას. და რადგანაც ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს არსებულ წყობილებას, გამოდის—ეს ხალხი თავის-თავის მტერი ყოფილა!..

უკანასკნელ დღეებში გამოსულ ბოლშევიკების ფურცლებში პირდაპირი წაქეზებაა მოწინავე მუშების წინააღმდეგ ყველა იმათი, ვინც ამა თუ იმ პირობების გამო შეუგნებელია, ჩამორჩენილია.

სანიმუშო ტყუილები, ცილისწამება, ლანძღვა გინება ნამდვილი ბოლშევიკური ენით. მაგარი სიტყვებით,—აი ბოლშევიკური ლიტერატურის შინაარსი!..

ეს ხდება არალეგალურად.

ახლა გადავხედოთ ლეგალურ პრესას. ჩვენ არას ვიტყვით სოციალისტ-რევოლუციონერების პრესაზე,—ამ გზადაბნეულ ხალხში არას დროს არ ყოფილა ისეთი პიროვნება, რომელსაც პასუხი ეგო იმაზე, რაც ამ პარტიაში კეთდება, ან პარტიულ პრესაში იბეჭდება.

საინტერესოა ამ მხრით სოც.-ფედერალისტების პარტია. მიუხედავათ იმისა, რომ ამ პარტიაში ბევრი მეტრაკეცა და უპასუხისმგებლო პირები მოიპოვებოდნენ თავიდანვე, დღემდე მაინც იქ სჭარბობდა პასუხისმგებელი პირები. დღეს კი, უნდა სამწუხაროდ ითქვას, ბურთი და მოედანი ამ პარტიის პრესაში მეტრაკეცებს დარჩენიათ.

და ამის აშკარა საბუთს გვაძლევს „სახალხო საქმის" სააღდგომო ნომერი და შიგ მოთავსებული თედო ღლონტის წერილი.

თედო ღლონტს არ მოსწონს ს. ავალიანის მოხსენება ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. არ მოსწონს მას აგრეთვე ის კრება, რომელიც მოწვეული იყო ამ მოხსენების მოსასმენად. ამ კრების ინიციატორი მოწინავე მუშები, მუშათა ორგანიზაციები, მისი თქმით „ყვითლები" არიან. თვით კრება მისი თქმით „განსაცვიფრება იყო ყოველივე სიტლანქისა, ბარბაროსობისა, ველურობისა, მუშათა ინტერესების ფეხქვეშ გათელვისა... კრებაზე დემონსტრატიულად იყვნენ შეიარაღებული პირები—როგორც გადმოგვცეს—სადანგებით რაზმიდან".

შემდეგ თედო ღლონტი ამბობს, რომ ჩვენს მუშებს სათავეში უდგანან ყვითელი მუშები და მორიგი საკითხია მუშებისათვის ამათგან კავშირების, მუშათა ორგანიზაციების გაწმენდა.

შეადარეთ ეს ამონაწერი ბოლშევიკების ფურცლებს. არავითარი განსხვავება მათ შორის არ არის!

რამდენათაც შესაძლებელია მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამას მთავრობა მუშებთანვე შეთანხმებით ასრულებს, მუშები მხარს უჭერენ ასეთ მთავრობას,—განა ამისთვის არიან ისინი „ყვითლები"?

რას შეიძენს თედო ღლონტი, ან სოც.-ფედერალისტების პარტია ასეთი უშვერი ოპოზიციით?

თითონ არაფერს. სამაგიეროთ, ბოლშევიკები ბევრს.

ჩვენს ხელთ ბევრი საბუთებია იმისა, თუ როგორ მუშაობენ ჩვენში ბოლშევიკები. როცა ამ საბუთებს გაეცნობით, ამასთანავე გადაიკითხავთ ღლონტების წერილებს — აშკარად დარწმუნდებით, რომ ღლონტები ნებსით თუ უნებლიეთ მხოლოდ ბოლშევიკების წისქვილებს აბრუნებენ.

ბოლშევიკების ერთ-ერთ პასუხისმგებელ ორგანიზაციის სხდომას ამა წლის 21 თებერვალს, რომელსაც თავმჯდომარეობდა ვინმე ქართველიშვილი აი რა შეიტანეს ოქმში სხვათა შორის: „დღიური წესრიგი: როგორ გავავრცელოთ ფურცლები; როგორი სულიერი განწყობილებაა რკინის გზელებს შორის და შეიძლება თუ არა მათი ამოძრავება, დაადგინეს: ყოველი ჩვენი ამხანაგი მოვალენი არიან, რომ გაავრცელონ ფურცლები. ამასთანავე, ამოირჩიონ რამდენიმე ამხანაგი და დაინიშნოს პუნქტები, საიდაც უნდა იქნეს გავრცელებული ფურცლები. უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი გავავრცელოთ. მეორე კითხვაზე მოისმინეს მოხსენება ამხანაგებისა, თუ როგორი პირობებია მუშაობისა დღეს რკინის გზაზე, გამოირკვა, რომ პირობები ძლიერ ცუდია. რეპრესიები გაძლიერებულია. ამისთვის მასსა თუმცა უკმაყოფილოა, მაგრამ ამ უკმაყოფილებათა ორგანიზაციული მოწყობა და ამოძრავება დღევანდელ პირობებში მოუხერხებელია."

როცა ბატონი ღლონტი [illegible] ყვითელის სახელწოდებით ნათლავს, ბევრს სურს გაიგოს, თუ რა სახის „წითელი" მუშები მუშაობენ ჩვენში?

აი ზოგიერთი ამის საბუთი:*)

1.

Москва, 4|IX—1919 г.

Теръ-Мкртичьянцъ командируется въ распоряженіе Кавказскаго Краеваго Комитета для подпольной партійной работы.

Секретарь Ц. К. Стасова.

2

Удостовѣреніе.

Центральный Комитетъ Р. К. П. (Большевиковъ) удостовѣряетъ, что товарищъ Лазарь Нестеровичъ Канделаки командируется въ Тифлисъ для подпольной партійной работы

Секретарь Ц. К. Стасова.

3.

Мандатъ.

Дано сіе тов. Андрею Матину въ томъ, что онъ делегируется Кавк. Краев. Комитетомъ въ Тифлисъ для партійной подпольной работы въ распоряженіе Т. Канделаки.

Председатель В. Нанейшвили.

Секретарь Шура.

4.

Мандатъ.

Тов. С. делегируется для полученія 30 (тридцати) капсюлей; просимъ выдать и оказать содѣйствіе: Викторъ (печать Краев. Комитета).

ეს საბუთები მოგვყავს, როგორც ნიმუშები. აურაცხელი საბუთებია დაგროვილი ამ ხასიათის იმ ორგანოს ხელში, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის დაცვა ავალია. და ახლა ჩვენ უფლება გვაქვს შევეკითხოთ ღლონტებს—შესწევთ უნარი, ჭკუა-გონება აქვთ შესაფერი დასკვნა გამოიყვანონ, თუ არა?

ამ მანდატების პატრონთაგანი ამ ჟამად ბევრი ციხეშია მოთავსებული. ციხეში არიან მოთავსებულნი, ვინც მათ ხელს უწყობდა ბოლშევიკურ აჯანყებებში, გეგმების შედგენაში, ფურცლების გავრცელებაში და სხ. და განა [illegible] შემდეგ შეიძლება იმის თქმა, რომ [illegible] რაიმე კავშირი აქვს მუშათა მოძრაობასთან და ესმის საზოგადოთ, თუ როგორ უყურებს მუშათა მასსა მუშების დაპატიმრებას—მისთვის აშკარაა, რომ ამ საკითხის წესრიგში ჩარიცხვა შეუძლებელია აუცილებელ საჭიროებას მაგრამ იმ მუშის ხმა ჩაიკარგა [illegible] ლოდ, ხოლო შეგნებულმა მენშევიკ[illegible] „მუშებმა" სილაღ ხარხარით [illegible] ეს განცხადება კომისარიატში შეიტანოს"!..

ჩვენ გვგონია ასეთ შეკითხვას შეიტანს, ან დაიწერს ასეთ სტრიქონებს მხოლოდ მოსკოვის მანდატით ჩამოსული ან ამ ჩამოსულის განკარგულებაში მომუშავე ბოლშევიკი.

და თედო ღლონტი—იმიტომ, რომ ის თედო ღლონტია...

რას მოელიან ღლონტები ამგვარი მოღვაწეობიდან?

გამარჯვებული ბოლშევიკები ღლონტებს იმის ღირსადაც არ გახდიან, რომ უთხრან—„მავრმა გააკეთა საქმე, მავრს შეუძლია მიბრძანდეს".

ბოლშევიკების დროს „მავრი" ღლონტები ჩრეზვიჩაიკებში ამოჰყოფენ თავს.

და განა ამისთვის იღწვიან, ღელავენ ღლონტები?!

X.

# მოქალაქენო!

დიდი ქალაქი ქართლისა, გორი აღარ არსებობს! საშინელმა მიწის ძვრამ მოუღო მას ბოლო. მცხოვრებნი ათი ათასობით დარჩნენ უსახსროდ, უბინაოთ, შიშველნი და მშივრნი. თქვენცკი უწირავთ მათ თავი, მოქალაქენო, თქვენგან ელიან ძმურ ნუგეშს და შველას ამ საშინელ განსაცდელ ჟამში; სასტიკ მოვლენის საბრალო მსხვერპლებს მოელით უფრო უარესი დღენი, ზამთრის ყინვებში ცის ქვეშ დგომა; რადგან ისინი მოკლებული არიან სახსარს თავისი ბინის აღსადგენად. საჭიროა შველა, ბინების აშენება.

ამ მიზნით, მიწის ძვრისაგან დაზარალებულმა მესაკუთრე მცხოვრებლებმა შეადგინეს საზოგადოება „პატრონი", მიზნად ამ საზოგადოებას აქვს აღდგენა სახლებისა, როგორიცაა მესაკუთრეების აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც ცხოვრობდნენ გორის დაქირავებულ სახლებში, რათა ისინიც გახდნენ მესაკუთრეები. საქმის აღსრულებაში მოსაშველებლად საზოგადოებას აქვს აზრი გამოითხოვოს გრძელ ვადიანი სესხი, შეღავათიანი პირობებით, უძრავ ქონების ანუ ახლად აშენებულ სახლების გირაოთი. ეს დიდი საქმე, რომელიც იკისრა საზოგადოებამ, მხოლოდ მაშინ მოეწყობა წარმატებით, როდესაც თვით მოქალაქეობა აღმოუჩენს შემწეობას, როგორადაც საზოგადოთ დაწესებულებანი ისე კერძო პირნი, მათი შემწეობებით

---

*) საბუთები მოგვყავს იმ ენაზე, რომელზედაც ისინი დაწერილან.

სრულად მოემზადება ფუნქციონირებისათვის და დარიბის სახლთა აღსადგენად.

შემოწირულებანი მიიღება: თფილისის ცენტრალურ ბანკში პუშკინის ქ. იქ მომუშავე მოხელესთან ფულ. ბ. კაპანაძესთან.

ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში პუშკინის ქ. № 3 მოხელე დ. ზუბალაშვილთან, გრ. ღიასამიძესთან—ოლღის ქ. № 4. ქ. გორში საზოგადოების კანტორაში—რუსთაველის ქ 6. ქ. ამილახვრის სახლში.

შემოწირულობა ტანსაცმლის და შენობის მასალის გაგზავნილ უნდა იქნას პირდაპირ გორში ზემოხსენებული მისამართით. **კომიტეტი**

## საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში

3 აპრილს ინჟ. ვ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც ქვა-ნახშირის გამოყენების საკითხი იყო განხილული.

წინათ, როდესაც სათბობ მასალაზე დიდი მოთხოვნილება არ იყო, ასეთად, ხმარობდენ უმთავრესად ხის მასალას.

შემდეგ როდესაც გამოირკვა, რომ ხისაგან შეიძლება ქაღალდის მიღება და მისი ფეროდ წოდებული მშრალი გამოხდით ლპობისაგან ძვირფასი სადენმის დამზადება, რომელსაც გადამწყვეტი ნიშნელობა აქვს, ტყეების გაჩეხვა ქვეყნის ჰავაზე და წყლებზე და ამასთანავე ეკონომიური ცხოვრების გამწვავების გამო სათბობ მასალაზე მოთხოვნილებამ ერთიან იმატა,—ტყეების გაჩეხვა—განადგურებას თავი დაანებეს და ქვანახშირის და ნავთის ფართოდ გამოყენებას შეუდგნენ.

დღეს ქვა-ნახშირზე და ნავთზე იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ან ორივე ან ერთი მაინც ამათგანი არ მოეპოვება, პირდაპირ უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რადგან მოკლებულია თავისუფალი მრეწველობის და ეკონომიური აღორძინების საშუალებას. იმ ქვეყნებს კი, რომელთაც ქვა-ნახშირის და ნავთის წყაროები ბლომად მოეპოვება და რომელნიც მათი დამუშავების საქმე რიგიანად აქვთ მოწყობილი, საშუალება ეძლევათ არა მარტო შინაური საჭიროების გაუმჯობესების, მრეწველობის განვითარების და ეკონომიური დაწინაურების, არამედ—ამასთანავე სხვებიც ამ მასალებით ღარიბ ქვეყნების მბრძანებლებად და მეუფეებად; მათ შეუძლიათ ასეთ ღარიბ ქვეყნებს „სული ამოხადონ", შებოჭონ მათი ტეხნიკური და ეკონომიური დაწინაურება და თავის „მონად" აქციონ. ასეთ საშინელ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, მაგალითად, იტალია ინგლისიდან ჯერ კიდევ ომამდის, როდესაც ის იძულებული იყო ყოველწლივ 660 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი შემოეზიდა და აქედან 87 პროც. სწორედ ინგლისიდან. რამდენათ დაინტერესებულია საფრანგეთი ქვა-ნახშირით, თუნდაც იქიდან სჩანს, რომ დამარცხებულ გერმანიისაგან საზავო პირობების შემუშავების დროს თავისი „იმპერიალისტური თვალები" საფრანგეთმა უპირველესად ქვა-ნახშირის რაიონს მიაპყრო.

მოვგონებთ ისიც, რომ თვით რუსეთის სამოქალაქო ომის წარმოების დროს, თუმცა დამუშავება ძალიან შეფერხებული იყო, მაინც დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ ვისი ხელში იყო დონეცის რაიონი.

მოვიხსენიებთ ისიც, თუ რა ინტერესით შეჰყურებს მთელი ევროპა ბაქოს ნავთს.

კარგათ მოგეხსენებათ ისიც, თუ რამდენად დაინტერესებულია იტალია ჩვენი ქვეყნის ქვა-ნახშირით.

ასეთი ყურადღება სათბობ მასალისადმი საზოგადოდ და კერძოდ ქვანახშირისადმი ძნელი ასახსნელი არ არის:

ის წარმოადგენს ეკონომიური განვითარების მთავარ ძარღვს და ამის გამო, რასაკვირველია, საერთაშორისო პოლიტიკაში თამაშობს ერთობ დიდ როლს. ტყუილად არ უძახიან მას „შავ ოქროს".

ის არის საჭირო და აუცილებელი კოკსისათვის ლითონების გამოდნობის დროს, მეტალურგიულ წარმოებაში. ის არის საჭირო, როგორც საწვავი მასალა, ენერგიის წარმომშობად; მისი წყალობით მიღებული ორთქლი წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას; მისი მშრალი გამოხდით შექმნილი გაზი გამოიყენება და მოსახმარი როგორც სანათი და სათბობი ნივთიერება, აგრეთვე როგორც მამოძრავებელი ძალა, ქვანახშირის გამოხდის შემდეგ დარჩენილ პროდუქტებიდან ღებულობენ ბენზოლს, ტოლუოლს, ნაფტალინს, ანტრაცენს, კარბოლის მჟავს და სხვ., რომელნიც ხელოვნური საღებავების, მედიკამენტების, სადეზინფექციო საშუალებათა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა, ფოტოგრაფიულ რეაქტივების და სხვა საჭირო საგნების მისაღებად ძვირფას მასალას წარმოადგენენ.

ამნაირად, მისი მნიშვნელობა ერთობ დიდია და გამოყენებაც ძალიან ფართო.

სწორედ ამიტომ არის, რომ დაწინაურებულ ქვეყნებში მას დიდად აფასებენ, მრეწველობის განვითარების და ეკონომიური წარმატების ქვა-კუთხედად სთვლიან.

სირცხვილია, ტყვარჩელის და ტყიბულის მადნები, რომელნიც საქართველოსთანა პატარა ქვეყნისათვის დიდ განძს წარმოადგენენ, რიგიანად შესწავლილი არ იყოს! გამოყენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... უნდა ვიცოდეთ მაინც, რა გვაქვს და როგორი შეიძლება ამ სიმდიდრის რაციონალურად მოხმარა.

ტყვარჩელის მადნეულობა ჯერ სრულიად ხელუხლებელია; ტყიბულის მადაროებში აფარებული ფხვნილი ნახშირი რჩება, რომელიც ზედმეტ ბარგად ითვლება მაშინ, როდესაც სახლეულ-გარედ მას დიდ ღირებულების საგნად სთვლიან.

ტეხნიკურ საზოგადოებამ ყოველივე ამის შესახებ მსჯელობა იქონია და ჩვენი ქვა-ნახშირის გამოყენების საკითხის ყოველმხრივი შესწავლა განიზრახა—გამოკვლევა და ცდები ფხვნილი ნახშირიდან დაიწყება.

კომისიაში არჩეული არიან ინჟინრები: გ. შალამბერიძე, ი. მეძმარიაშვილი, ი. მაისურაძე და შ. კარბელაშვილი.

გამოსარკვევად და შესასწავლად დასმული საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არის, და, უეჭველია, კომისიის მუშაობას დიდის თანაგრძნობით შეხვდებიან და საჭიროების დროს სათანადო დახმარებას აღმოუჩენენ როგორც მთავრობა და ქალაქის თვითმმართველობა, ისე სხვა და სხვა ტექნიკური დაწესებულებანი. X.

## წითელი ჯვრის მიერ ლტოლვილებზე გაწეული დახმარება

საქართველოს „წითელ ჯვარს" დაეკისრა ზრდილოეთ კავკასიიდან ლტოლვილებისთვის ზრუნვა-დახმარების გაწევა.

როგორც კი გაიგო წითელმა ჯვარმა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა შემოეშვას ლტოლვილნი, ის (წითელი ჯვარი) მაშინვე შეუდგა ამისთვის სათანადო მზადებას. ვინ იცის მან ქარგათ იცოდა, რომ სადაც ლტოლვილებია იქ უეჭველად მოსალოდნელია სხვადასხვა ავათმყოფობის გავრცელებაც, ამიტომ წითელმა ჯვარმა გაგზავნა ყაზბეგში საექიმო რაზმი ექიმ გ. ვაჩნაძის მეთაურობით და თან გაატანა საჭირო წამლები და შესაფერი მასალა, რომელ რაზმსაც გაუძღვნენ წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე მ. ფ. მეცლიშვილი და მთავარ სამმართველოს წევრი ო. ბ ქარცივაძე. მათი განკარგულებით გახსნილ იქნა ფასანაურში საექიმო პუნქტი, სადაც აღმოუჩინა ავათმყოფ ლტოლვილებს და აგრეთვე ჯარისკაცებს უფასო საექიმო დახმარება. გარდა ამისა წითელი ჯვრის თავმჯდომარემ მ. ფ. მეცლიშვილმა, როდესაც გაიგო, რომ მოდის აგრეთვე კავკასიდან გამოქცეული მთელი ჰოსპიტალი ავათმყოფებით სავსე, მაშინვე მან ყაზბეგიდან დუშეთში განკარგულება მოახდინა, რათა მზად ყოფილიყო მცხეთაში წითელი ჯვრის სასანიტარო-სადეზინფექციო მატარებელი ავათმყოფთა გადასაყვანით და აგრეთვე მათთვის დამზადებულიყო ბინა სურამის წითელი ჯვრის ახალშენში, რაც დაუყონებლივ სისრულეში მოყვანილ იქნა. სურამში ამ ჟამად დაბინავებულია 109 ავათმყოფი. იმავე დროს წითელმა ჯვარმა გახსნა მცხეთაში საექიმო პუნქტი და ამბულატორია 20 საწოლით და აგრეთვე საკვები პუნქტი, სადაც უფასოთ ეძლევათ ლტოლვილებს ჩაი, შაქარი და პური. გარდა ამისა მუშაობა დაიწყო წითელი ჯვრის სასანიტარო-სადეზინფექციო მატარებელმა, რომელმაც გადაიყვანა ავათმყოფები სურამში და ამ დღეებში თფილისში ჩამოიყვანა 9 პარტიზანი სახადით ავათმყოფი ლტოლვილნი. ამ ჟამად წითელი ჯვრის მატარებელი გაჩერებულია მცხეთაში და მისი აბანოთი და სადეზინფექციო კამერით სარგებლობენ ყოველ დღე მოსული ლტოლვილნი.

გ. ხახაშვილი.

## პროფესიონალურ კავშირებში

**კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტში.**

6 აპრილს შესდგა საქართველოს პრ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. სხდომამ მოისმინა ქუთაისის შრომის კომისრის ყურაშვილის მოხსენება ქუთაისის სახელმწიფო დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხსენებული მოსამსახურეები აუტანელ მდგომარეობაში არიან. მაშინ, როდესაც ფუთი სიმინდი 500—600 მანეთი ღირს, მუშები 1700 მანეთს ღებულობენ თვეურად. დაბალ მოსამსახურეების საზოგადო კრებას დაადგინა: მოეთხოვოს მთავრობას, რომ ძირითადი ჯამაგირი გაუდიდდეთ მათ 3000 მანეთამდე და შემდეგ ამ ჯამაგირზე გავრცელდეს 60 პროცენტიანი მომატება. თუ ამ მოთხოვნილებას მთავრობა არ დააკმაყოფილებს ორი კვირის განმავლობაში, მაშინ მუშები იძულებული იქნებიან სხვა საშუალებებს მიმართონ. აღმასრულებელ კომიტეტმა იმსჯელა რა ამ საკითხზე დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა, რათა ქუთაისის სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი გათანასწორებულნი იქნან თფილისის აღნიშნულ დარგის მოსამსახურეებთან, როგორც ჯამაგირით, ისე სურსათ სანოვაგის მიწოდებით. რაც შეეხება ამ საკითხის რესპუბლიკის მასშტაბით გადაჭრას, ამ. კომიტეტს ჯერ ჯერობით ეს შეუძლებლად მიაჩნია. კომიტეტი გზავნის ქუთაისში თავის წარმომადგენელს ამხ. ზერაშვილს, რომელსაც ევალება ხსენებულ მუშათა მდგომარეობის გამორკვევა.

შემდეგ განხილულ იქნა თელავის ეროვნულ მამულში მომუშავეთა ეკონომიური მოთხოვნილება და აღნიშნულ მამულის გამგეებისა და მუშებს შორის შექმნილი მდგომარეობა. კომიტეტმა დაადგინა ამ საკითხების გამოსარკვევად გაიგზავნოს ეროვნულ მამულებში ამხანაგი ალ. ხელაძე.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 8 აპრილს, საღ. 6 ს. ამხ. ვალიკურის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) პარტიული ყრილობა, 3) პარტიული მუშაობის გაცხოველება, 4) კულტურული მუშაობა რაიონში, 4) კლუბში მაგარი სასმელებით ვაჭრობის შესახებ.

პირველი კითხვის შესახებ ამხ. უულიავა აცნობს კრებას, რომ უკანასკნელი სხდომები თფილისის კომიტეტისა წევრთა გამოუცხადებლობის გამო არ შემდგარა. სხდომა ამ მოვლენას არასასურველად სთვლის და ავალებს მას დასვას ეს კითხვა კომიტეტში. მეორე კითხვის შემდეგ სხდომა ადგენს, ხუთშაბათს, 15 აპრილს საღ 6 საათ. მოწვეულ იქნას პარტიის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განხილულ იქნას პარტიული ყრილობის დღის წესრიგი. მომხსენებლად მოწვეულ იქნას ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი. რაიონში პარტიულ მუშაობის გასაცხოველებლად სხდომა ადგენს, ხუთშაბათს, საღამოს 5 ს. მოწვეულ იქნას რაიონული კოლექტივის, რაიონში არსებულ მცირე კოლექტივების და მუშათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა, სადაც გამომუშავებულ იქნას სათანადო ზომები რაიონში პარტიული მუშაობის გასაჩაღებლად. მეოთხე კითხვის შესახებ სხდომა ავალებს ამხ. უულიავას და გ. ფუტკარაძეს მოკლე ხანში გამოიმუშაონ კლუბის წესდება და წარმოუდგინონ სხდომას დასამტკიცებლად. მეხუთე კითხვის შესახებ, სხდომა კრძალავს კლუბში მაგარი სასმელების გაყიდვას, გარდა კერძო შემთხვევებისა, რომელიც საგანგებო ნებართვით იქნება დაშვებული. მაგარ სასმელთაგან ღვინო დაშვებულ იქნა. უკანასკნელად ბინის პატრონისა მოლაპარაკების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. უ. ულიავა, რომელსაც სხდომა იღებს მხედველობაში და იწერება. X

— —

ქ. სამტრედია. 1 აპრილს შესდგა სამტრედიის რაიონის ს.-დ. ორგანიზაციების კომიტეტის სხდომა. დაესწრო 12 წევრი. დამტკიცებულ იქნა მანდატი ახლად შემდგარ გულეკარის თემის საკოლექტივოს წარმომადგენლის ამხ. კარპეზ კობალიშვილის. პირველად გაკეთდა მოხსენება ბიუროს მოქმედების შესახებ, რაც მოწონებულ იქნა კომიტეტის მიერ. ამხ მდივანი აცნობს სხდომას ცენტრალურ კომიტეტის პასუხს ერთ თეორეტიულათ მომზადებულ ამხანაგის დროებით აქ სამუშაოთ გამოგზავნის შესახებ, რომლითაც ცეკა იტყობინება, რომ ის გამოგზავნის ამხანაგებს დრო გამოშვებით საერთოდ მოხსენებებისა და ლექციების წასაკითხავათ. შემდეგ გაკეთდა მოხსენებები ადგილებიდან; გამოირკვა, რომ არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა.

მესამე კითხვით დაისვა რაიონის კომიტეტის არსებობის საჭიროება, ეს კითხვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კომიტეტის და კოლექტივის ბეჭდების ახლების გაკეთება შეეფერხა ქუთაისის სამაზრო ს. დ. კომიტეტში და იქიდან გამოგვიგზავნეს მხოლოდ ერთი ბეჭედი წარწერით „სამტრედიის კომიტეტი" და შემოგვითვალეს, რომ ზედმეტი ხარჯები რათ უნდა გაწიოთ, სულ ერთია რაიონული კომიტეტი უნდა გაუქმდეს და სამტრედიის ქალაქის „კომიტეტი უნდა შესდგეს.

სხდომამ პრინციპიალურათ შეეხო ამ კითხვას და კამათის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) რაიონული კომიტეტი განაგრძობს მუშაობას, ის აუცილებელ საჭიროთ სცნობს სამტრედიის რაიონულ ს. დ. კომიტეტის არსებობას გრძნობს რა, რომ ქუთაისი ვერ დასწვდება მის რაიონის ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებას, რაც გამართლებულია ტრადიციულათ ისტორიულათ. 2) მივიღოთ ბიუროს წარმომადგენის მოხსენება პარტიულ მუშაობის გაცხოველების და მის ორგანიზაციების შესახებ რაიონში. 3) მივიღოთ ბიუროს წარმომადგენის დასაბუთებული მოხსენება სამტრედიის რაიონის მაზრათ გამოყოფის შესახებ, რომელიც გამოწვეულ უნდა იქნეს ისტორიულ-ტრადიციულ და პოლიტიკურ ეკონომიურ საჭიროებით სამტრედიის რაიონის ს. დ. ორგანიზაციების მუშაობისა და ღვაწლის შესახებ ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში წინეთ და ეხლა. და რომ ვერ არის მოხერხებული ქუთაისთან დაკავშირება ამ რაიონის ორგანიზაციებისა. (სამტრედიის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ აღძრულია შუამდგომლობა ამ რაიონის სამაზრო ერთეულათ გამოყოფის შესახებ, რაც გადაცემულია დამფ. კრების სათანადო კომისიაში)

მოხსენება ეს კომიტეტისგან მოხსენების შემდეგ გადაეცეს კოლექტივებს აზრის გამოსათქმელად, შემდეგ კი მოხსენება წარედგინოს ს. ს. ს. ც. კომიტეტს და დამფ. კრების ს. დ. ფრაქციას.

მდივნის ლ. ბუაძის განცხადების შესახებ, რომლითაც ის ითხოვს მდივნობიდან განთავისუფლებას, კომიტეტმა დაადგინა: სანამ შესაფერის მდივანს გამონახავდეს, მდივნის მოვალეობის ასრულება დაევალოს ისევ ლ. ბუაძეს. ვინაიდან ის არის რკინის გზის კლუბის გამგეც, საიდანაც ჯამაგირი ეძლევა ამ ზედმეტ მუშაობისათვის მას მიეცეს კომიტეტისაგან მდივნის ჯამაგირის მესამედი ნაწილი გ. ი. ათასი მანეთი თვიურათ.

პარტიულ კლუბის სახლის პატრონის ბ. კაკაბაძის განცხადებაზე, რომლითაც ის ითხოვს კომიტეტ ბინის ქირის მომატებას, კომიტეტმა დაადგინა მოემატოს სახლის ქირა იმ საერთო წესით რასაც შეიმუშავებს ბინის დამქირავებელთა კავშირი

კომიტეტმა მოისმინა რა ბიუროს მოხსენება პარტიულ კლუბიდან ქირით ორი ოთახის ქალაქის გამგეობაზე დათმობის შესახებ ქალაქის სამკითხველოსათვის, მოიწონა ის და დაადასტურა.

გულეკარის ახლათ შემდგარ თემის ს. დ. საკოლექტივოს წარმომადგენლისაგან იქნა გაკეთებული მოხსენება, სადაც ის აღნიშნავს, რომ მოხდა ამ თემის არჩევნები. თემში შედიან სოფლები: ქვარისუბანი, ტოლები, ნოდა, ბუდნარა და გულეკარი, საერთოდ არჩევნებში დიდმა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა, ხმოსნებათ გავიდნენ ყველა სოციალ დემოკრატები.

კოლექტივი სთხოვს კომიტეტს სამანდატო წიგნაკებს და კოლექტივისათვის ბეჭედს. აგრეთვე ყველა საწარმოვო წიგნებს მომხსენებელს და გამოჩენებულის წარმომადგენელს იკითხება კომიტეტის მდივანი. რადგან ახალი თემი შესდგა ამან გამოიწვია გამოჩენებულიდან სოფლების გადატიცება გულეკარზე. ეს გამოიწვევდა გამოჩენებულის საკოლექტივოს შემცირებას და დღემდი ეს თემი გზავნიდა კომიტეტში ორ წარმომადგენელს, ეხლა სამისოთ ნორმა დარჩა კიდევ თუ დაიკლდა მას. ამხ. ისახნ ძნელაძე (გამოჩენებულიდან) უპასუხებს, რომ ჯერ ეს არ არის გამორკვეული.

კომიტეტი ავალებს ი. ძნელაძეს პარტიის წევრთა რიცხვის გამორკვევას. აგრეთვე დაევალა გულეკარის წარმომადგენელს მოახდინოს პ. წევრთა რეგისტრაცია.

დ. დეკანაძე.

## მუშათა შორის

ნავთლუღი. 8 აპრილს შესდგა რაიონში არსებული კულტურულ-განმანათლებელ სექციების შეერთებული კრება. თავმჯდომარეობდა ამხ კვერნაძე. დაესწრნენ ხსენებული სექციები. შტაბიდან, კოლექტივიდან, რკინის გზის გამგეობიდან, სასაკლაოდან. დღიურ წესრიგში იდგა კითხვა მუშათა კლუბის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შესდგა კულტურულ-განმანათლებელი საბჭო, რომელმაც აირჩია კლუბის დროებითი გამგეობა. გამგეობამ უნდა გადაკეთოს შენობა, შეიძინოს წიგნები და საერთოდ უნდა აწარმოოს აღმშენებლობითი მუშაობა. გამგეობაში არჩეულ იქნენ: კვერნაძე, ლორია, იმნაიშვილი, სარჯველაძე, მოსაშვილი, გვიშიანიძე, და პირიმანაშვილი. გამგეობამ აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ მოსაშვილი, ამხანაგად კვერნაძე. მდივნათ იმნაიშვილი, ხაზინადრათ გვიშიანიძე; გადაწყდა გამგეობის სხდომები მოხდეს კვირაში ერთხელ—პარასკევობით საათის 5.

პ. დებიძე.

## პროვინცია

### შორაპნის და რაჭის მაზრის მცხოვრებთა საყურადღებოდ.

ამ უკანასკნელ ხანებში ნათესავებ-ნაცნობების რჩევით ბევრმა, უმეტესად კი შორაპნის და რაჭის მაზრის მცხოვრებლებმა მიჰყიდ-მოჰყიდა თავის სახლკარი და მოვიდა ჩვენს თემში დასასახლებლად და, მიუხედავად იმისა, რომ თემი მათ ადგილობრივ ასეთებს, ჯერ ნებართვა აიღოთ სამინისტროში და მერმე შეუძლიათ დასახლება, ბევრი უნებართვოდ შეიჭრა თემის ფარგლებში, დასახლდა და შეუდგა ტყეს განჩეხას. ეს გარემოება ეცნობა სამინისტროს და სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რათა ასე უნებართვოდ დასახლებულნი უსათუოდ აყრილიყვნენ. უმეტესობა იქნა აყრილი, დარჩა მხოლოდ 12-დე კომლი, რომელნიც დღეს თუ ხვალ უნდა მოშორდნენ აქაურობას. აი ამნაირად ასეთები ნათესავ-ნაცნობების თუ მატყუარათა რჩევით უბედურ მდგომარეობაში ჩავარდნენ: იმერეთში მიჰყიდ-მოჰყიდეს თავიანთი სახლ კარი და საჩხო-საბაღებელი და აქ ცარიელზე დარჩნენ ამიტომ, ვაცნობებთ რა, რომ ლაგოდეხის რაიონში და კერძოთ ჰაბუკიანის თემში დასახლება აკრძალულია მთავრობის მიერ, გირჩევთ და გაფრთხილებთ, რომ მომავალში მაინც არავინ წამოეგოთ ვისმეს რჩევას, არ მიატოვოთ თქვენი სახლ კარი და არ შემოიჭრათ ჩვენს თემში სამინისტროს დაუკითხავად, თორემ შემდეგ გვიან იქნება თავზე კაცნანი.

ჰაბუკიანის თემის საბჭოს თავმჯდომარე ვლ. ჭუმბურიძე.

— —

ბორჩალოს მაზრა. ქართველ სომეხთა ომის დროს დაშინებული სამხრეთა ბრბოები სომეხთა სოფლებიდან, დღესაც განაგრძობენ მეზობლებიან მცხოვრებთა თავდასხმას: იტაცებენ საქონელს, სცარცვავენ და ჰხოცავენ ხალხს და სხვა. ამ ჟამად ეს ერთი თვე იქნება მათი ხმა აღარ ისმის და საზოგადოების აზრით, იგინი იმყოფებიან სომხეთში, სადაც იღებენ მონაწილეობას თათართა სოფლების აკლების საქმეში. ასეა თუ ისე, ხსენებულ ბრბოს თუ დასცილდა გაზაფხულზე და პირი იბრუნეს, დიდ მავნებლობას მოუტანენ ბორჩალოს მაზრას, ამიტომ მაზრის ადმინისტრაციას ჰმართებს დიდი სიფრთხილე და ენერგიული ზომები, რომ ხსენებული ბრბო იქნას მოსპობილი ზამთარშივე, რადგანაც გაფოთლილ ტყეებში ამაოდ იქნება მათი დევნა.

ალგეთული. მანამდე ამ ჩემს წერილს დავამთავრებდი, 24 მარტს სომეხთა ბრბო ვისი დამხმარეობით მეთაურობით რიცხვით ას კაცზედ მეტი, კარგათ შეიარაღებულნი, თითქმის ტყვიის მფრქვეველებითაც, ღამით შებინდებისას თავს დაესხნენ გორანჯუკს, ალყა შემოარტყეს მთელ სოფელს, შეკრეს გასავალი გზები და შიგ ითარეშეს კარგათ გაძღენებამდე, შემდეგ თან წაიყვანეს სამი გავლენიანი პირი, თავიანთ ამხანაგების დაშთომილი ცოლ-შვილი და წავიდნენ. გზაში მოეხდინათ თათბირი და მიიღეთ სამივე პირზე პატივების წყალობა, რომელნიც უნდა დაეხოცნათ მისთვის, მითომ მათ დაახმინეს სომხეთის მთავრობასთან, რომ ესა და ეს პირნი გვაწიოკებენო. გაჩანტულრების შემდეგ შეაჭკურხეს სამივეს და მოიმხეს: წადით და ქართველებს შეატყობინეთ არ აბანოთ, მხოლოდ, თუ ჩვენზედ კიდევ გიჯავრდებით სადმე, შემდეგისთვის კი ამ ქვეყანას გამოემშვიდობეთო. მთელი მაზრის ადმინისტრაცია და სამხედრო ძალა ახლო-მახლო რაც მოიპოვებოდა, ფეხზედ დადგა, მაგრამ ამაოდ, ბრბო უკან-მაჩანის ქე დღევით გაქრა. ადმინისტრაცია ჯერ არაკი დაალაგებულიყვნენ თავიანთ სამყოფლებში რიგიანად, რომ ცნობა მოივიდა 26 ს მარტს, დილით სომეხთა ბრბო თავს დაესხა ს. გორანჯუკის დარიას ჯოგს და წაასხა. მაგამ ამ ჩვენებას დაამთავრებინებ მთავარია მეორე შეკრიბა და ამცნო ს. ბალიჭების გვიანეული საქონელი კაცებით. წაასხმა წნელმა ადმინისტრატიული ძალები, ადგილობრივი სახალხო გვარდია, სანაპიროს სამხედრო რაზმი ყველა კვალს დაედევნა. შეკრეს სანგრების გასავლები, მაგრამ ამაოდ. ბრბო უფრო წინ ცდილიყო და მშვიდობიანათ გადალახნა სანგრები თავისი ნადავლით ამ ბრბოთა წინანდელს და აწ მოყვანებულ ზარალს, ბორჩალოს მაზრაზე, კაცი ვერ მოსთვლის, ხანა კი არასადან ჩანს და არც ვიცით დიდი ხანი გასტანს მათი ასეთი უპასუხისმგებლო თარეში სანგრებზედ, თუ არა. ნუ თუ დრო არ არის, რომ ჩვენმა მთავრობამ მოახსენოს სომხეთის მთავრობას, რომ ან გასცეს ასეთი ავაზაკები, ან თვით აღკვეთონ [illegible] მდგომარეობა [illegible] როგორც ადგილობრივ [illegible] თვის ასევე ადმინისტრაციისთვის, რადგანაც, როგორც გვეუბნება, არც ისე უბრალო ბრბოსთან გვაქვს საქმე, რომ უბრალო ადმინისტრატიული ძალებით ადვილი იყოს მათი მოსპობა.

დროზედ ზომები, თორემ მერე გვიან და იქნება. ტ. ბ.

## წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 81-ში მოთავსებულია ცნობა „მილიონების აღმოჩენა", რომელშიაც სწერენ, ვითომც სისხლის სამართლის უფროსისთვის ეცნობებინოს ერთ მის აგენტს, რომ სასტუმრო „ფლორიდა"-ში მცხოვრებ გვარდიის აფიცერ წიგწიგაძეს აქვს ერთი მილიონი მანეთით. რის შემდეგაც მისულიყოს მილიციის უფროსი, მოეხდინოს ჩხრეკა და აღმოეჩინოს ზემოხსენებული ფულის რაოდენობა სიმართლის აღსადგენათ ვაცხადებთ შემდეგს: ფული აღმოაჩინა არა მილიციის უფროსმა, არამედ თვით გვარდიელებმა ამხ. ი. ჯუღელის თანადასწრებით. ზემოხსენებული წიგწიგაძე იქნა დატუსაღებული სახალ. გვარდიის საგანგებო ბათალიონის გვარდიელების მიერ, სახელდობრ: ჯაჯანიძისა, კობიძისა და ხელაძის საშუალებით, სასტუმრო „ფლორიდა"-ში, რის შემდეგაც დატუსაღებული წიგწიგაძე მოთავსებულ იქნა ბათალიონის „პატპტყავში" გვარდიელების მიერ. თუ არ ვცდებით, ყოველივე ეს ეცნობა ბ-ნ ფანჩულის მოვარო შტაბის საშუალებით და არა თავისი აგენტის, ვინაიდან ზემოხსენებული ფულების აღმოჩენა და დატუსაღება ამხ. ჯუღელმა აცნობა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, რის შემდეგაც გვესტუმრა ამხ. ა. დეგებუაძეც. მხოლოდ, რაც შეეხება ფულის წაღებას ბ-ნ ფანჩულის მიერ, ეს მოხდა არა სასტუმრო „ფლორიდიდან", არამედ სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონიდან, რომელსაც იცავდნენ გვარდიელები, როგორც დაპყრობილ ფულს.

რაც შეეხება წიგწიგაძის დაპყრობას, რასაკვირველია, ეს მოხდა არა მილიციის საშუალებით, არამედ გვარდიელებმა გადასცეს დაპყრობილი წიგწიგაძე ბ-ნ ფანჩულის.

ფულის აღმოჩენა სასტუმრო „ფლორიდა"-ში და წიგწიგაძის დატუსაღება მოხდა გვარდიელების მიერ დილის 7 საათზე. მილიციის უფროსი ბ-ნი ფანჩული კი გვესტუმრა ბათალიონში საქმის გამოსაძიებლად დილის 11 საათზე.

სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის კომ. წევრი. გ. ბრიკაშვილი.

განცხადებანი

მედიცინის დოქტორი
ივ. ღუდაძე
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიღება საღამოს 4—7 საათ. მეჩნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში.
(1259—24—1)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მთატკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—1)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
იღებს სპეციალურად: სიფილისით (შიხაბ 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოების სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. ლერმონტოვის ქუჩა № 72, ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (1224—ლ.)

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების ჭლექის აქიმება „ტუბერკულინით" და „ფოსფაცოლით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიომაშვილის სახლში. (კუპ. 836)

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 36. იღებს ყოველდღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საშვილოსნო ქალების ავათმყოფობა და ვენერიული ავათმყოფობა.

ექიმი ჩ. ბ. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ნიკოლაიშვილის ქუჩა № 87, ამქრის აფთიაქის ახლო.